პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 129 (10523) | სამშაბათი, 5 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გავაძლიერეთ მოკავშირე რესპუბლიკების როლი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გუშინ გამოქვეყნებულ დადგენილებას სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების საწარმოების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში გადაცემისა და ამასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ წლებში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი მეურნეობის ხელმძღვანელობაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის გაძლიერებლად. ასეთი ღონისძიებებს ეკუთვნის, კერძოდ, ის, რომ შეიქმნა შავი მეტალურგიისა და ქვანახშირის მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტროები უკრაინაში, ყაზახეთში მრეწველობისა — აზერბაიჯანში, ფერადი მეტალურგიისა — ყაზახეთში და ჩეჩო-ინგუშეთში, ასევე ის, რომ აღნიშნულ რესპუბლიკებში არსებული მრეწველობის ამ დარგების ყველა საწარმო გადაეცა ამ სამინისტროებს.

პარტიის XX ყრილობამ მთლიანად მოიწონა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში რესპუბლიკური ორგანოების უფლებათა გაფართოების ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო. ყრილობის დადგენილებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო აღნიშნულია, რომ, შეუფერხებლად რა საკავშირო სამინისტროებს საერთო ხელმძღვანელობას, საგეგმო დავალებათა განსაზღვრას, მათი შესრულებისადმი კონტროლს, მოწყობილობით მომარაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, ამავე დროს საჭიროა შემდგომ გაფართოოთ რესპუბლიკურ სამინისტროთა უფლებები საწარმოების მართვაში.

ეყრდნობიან რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის მართვაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის შემდგომი გაძლიერებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში გადადიან საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც დღემდე უშუალოდ ექვემდებარებოდნენ დადგენილებაში ჩამოთვლილ სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელდობრ: სასურსათო საქონლის მრეწველობის, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის, თევზის მრეწველობის, დამზადებათა, მსუბუქი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების, სამდინარო ფლოტის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, აგრეთვე საცალო სავაჭრო ქსელი და საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

ამიტომ პარტიამ და მთავრობამ საჭიროდ მიიჩნიეს განახორციელონ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიებანი. კერძოდ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო გაერთიანებულ იქნენ ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ. დამზადებათა საერთო-საკავშირო სამინისტრო გარდაქმნილია სსრ კავშირის პურის პროდუქტების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ. სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრო უქმდება და ამ სამინისტროს საგზაო მშენებლობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე იქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საავტომობილო გზების მშენებლობის მთავარი სამმართველო. აგრეთვე უქმდება სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სამინისტრო, ხოლო სამდინარო ფლოტის მუშაობისადმი ხელმძღვანელობისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკაში იქმნება სამდინარო ფლოტის რესპუბლიკური სამინისტრო, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში კი, იქ, სადაც ეს საჭიროა, სათანადო სამმართველოები მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან.

ჩვენი ქვეყნისა და თვითეული მისი რესპუბლიკის წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ღონისძიებათა გაერთიანება კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გადასაჭრელად. ეს გულისხმობს ჩვენი სახალხო მეურნეობის გარკვეულ ცენტრალიზაციას, ამასთან რესპუბლიკების ფართო ინიციატივასა და თვითმოქმედებას, თუ არ არის გეგმიანი საწყისი და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა, შეუძლებელია სოციალისტური ეკონომიკის თვით არსებობა და რამდენადმე წარმატებით განვითარება.

ყველა ჩვენი სამეურნეო და საგეგმო ორგანოს უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ აუმჯობესონ სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა, ყურადღებით მოეკიდონ მთლიანად საბჭოთა ქვეყნის და ცალკე თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიურ მოთხოვნილებებს, მეურნეობისა და კულტურის განვითარების პერსპექტივებს, დროზე შენიშნონ და აქტიურად დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, პროგრესულს, რაც წარმოიშობა რესპუბლიკების ცხოვრებაში.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ეკონომიკის განვითარებამ მოკავშირე რესპუბლიკებში მაღალ დონეს მიაღწია და როცა ამ რესპუბლიკებში აღზარდნენ მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები, მომწიფდა აუცილებლობა მნიშვნელოვნად გაგაფართოოთ რესპუბლიკური ორგანოების უფლებები მეურნეობის მართვაში. საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო წვრილმან მეურვეობას მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ, რაც აქამდე ხდებოდა. მოკავშირე რესპუბლიკებმა საერთო-საკავშირო სახალხო-სამეურნეო გეგმებით განსაზღვრულ ფარგლებში თვითონ უნდა გადაწყვიტონ თავიანთი ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარების კონკრეტული საკითხები. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს თვითეული რესპუბლიკის სუვერენიტეტს, თანამშრომლობას რესპუბლიკებს შორის, დაეხმარება ყოველ მათგანს მთელი სისრულით გამოიჩინოს შემოქმედებითი ინიციატივა ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან უზრუნველყონ ურთიერთ ვალდებულებათა შესრულება სამშენებლო, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა დარგში დაწესებული გეგმებისა და დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად იმ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში გადადიან. დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ცენტრალური აპარატებიდან განთავისუფლებულ მუშაკთა კადრების გამოყენებას. პარტიამ და მთავრობამ დაავალეს სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებს, აგრეთვე რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს უზრუნველყონ პერსონალური წესით თვითეული იმ მუშაკის შრომითი მოწყობა, რომლებიც განთავისუფლდებიან შესაბამის სამინისტროთა ცენტრალური აპარატიდან, ამასთან მხედველობაში იქონიონ მათი გაგზავნა უპირატესად უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკათა როლის გაძლიერების გამო იზრდება მოთხოვნები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისადმი. ისინი მოწოდებული არიან უფრო ღრმად ჩასწვდნენ საწარმოთა ტექნიკასა და ეკონომიკას, განამტკიცონ სამეურნეო და საგეგმო ორგანოები მუშაკთა საუკეთესო კადრებით, გამოავლინონ და უფრო სრულად გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის. საჭიროა გულმოდგინედ იბრძოლონ ტექნიკური პროგრესისათვის წარმოების ყველა დარგში, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის გაძლიერებისათვის უნდა განხორციელდეს დაწესებულ ვადაში და მაქსიმალური ორგანიზებულობით. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ აღმავლობას ჩვენი სამშობლოს ძლიერების განუხრელი განმტკიცებისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის ინტერესებისათვის.

„პრავდის“ 4/VI მოწინავე.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

4 ივნისს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს და გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი. გვირგვინის ლენტს აწერია: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. იოსიპ ბროზ ტიტო“.

ი. ბროზ ტიტოს ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი პ. ნ. კორობოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

პრეზიდენტ იოსიპ ბროზ ტიტოსთან ერთად მავზოლეუმი ინახულეს სსრ კავშირის იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებმა, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების დიდმა ჯგუფმა.

წითელ მოედანზე შეკრებილი რამდენიმე ათასი მოსკოველი მხურვალე ტაშით მიესალმა იოსიპ ბროზ ტიტოს. (საკდესი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პროპაგანდისტთა გადასამზადებელ ერთთვიან კურსებზე მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 7 ივნისს დილის 9 საათზე **რესპუბლიკური პარტიული სკოლის შენობაში.**

მსმენელები უნდა გამოცხადდნენ 6 ივნისს.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო მოსკოვში

იშვიათი თბილი და მზიანი დღე დადგა 3 ივნისს მოსკოვში. ლამაზად გამოიყურება გახსნისათვის მომზადებული სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც განლაგებულია აგრეთვე სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა. ფლაგშტოკებზეა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის და სსრ კავშირის, საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები. მშვენიერი მწვანე გაზონები, აყვავილებული ტულიპები, მჩქეფარე შადრევნები საერთო სადღესასწაულო სურათს ქმნიან.

დილის 10 საათისათვის გამოფენაზე მოვიდნენ საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი და პრეზიდენტის სხვა თანმხლები პირები. მათ შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. მალიშევი, ვ. ვ. მაცკევიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ა. ბენედიქტოვი, ვ. პ. ელიუტინი, ვ. პ. ზოტოვი, გ. ს. ხლომოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი, არმიის გენერლები ა. ი. ანტონოვი და ი. ა. სიროვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი პ. ნ. კორობოვი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი, სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ი. ე. მაკარევი, სამრეწველო გამოფენის დირექტორი ვ. ე. ნოვაკოვსკი და სხვა ოფიციალური პირები, იუგოსლავი ჟურნალისტები, საბჭოთა და უცხოეთის გაზეთების, რადიოსა და კინოქრონიკის კორესპონდენტები. აქვე იყვნენ სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები.

გამოფენის შესასვლელთან შეიკრიბნენ პირველი ექსკურსანტები, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის რესპუბლიკებიდან ჩამოვიდნენ. ისინი მჭუხარე ტაშით მიესალმნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს.

იუგოსლავი სტუმრები და საბჭოთა კავშირის მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები სხდებიან ღია მანქანებში და ათვალიერებენ გამოფენებს.

მანქანები ჩერდება მთავარ პავილიონთან, სადაც თავის მიღწევებს გვიჩვენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები. სტუმრებს ექსპონატების შესახებ ესაუბრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი ა. ვ. ტოპჩიევი.

პრეზიდენტი ტიტო დაინტერესა ჩვენი ქვეყნის დიდმა რელიეფურმა რუკამ, რომელიც წარმოსახავს სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის განვითარების ვარიანტს. იგი შეიმუშავა გ. მ. კრჟიჟანოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტმა.

სტუმრები გაეცნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობას ახალი, გამოსათვლელი მანქანების შესაქმნელად, რომლებიც განკუთვნილია მეცნიერი მუშაკებისა და ინჟინრებისათვის. აკადემიაში შექმნილია ელექტრონული სწრაფმოქმედი მათემატიკური მანქანები, რომლებიც ასრულებენ საინჟინრო გაანგარიშებას მეტად დიდი სისწრაფით.

შემდეგ იუგოსლავი ამხანაგები შევიდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პავილიონში. მათ დაათვალიერეს მრავალი ექსპონატი, რომლებიც ახასიათებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევებს, ამასთან ყურადღება მიაქციეს სიმინდის ნათესების დიდ გაფართოებას.

ყაზახეთის სს რესპუბლიკის პავილიონში სტუმრებს უამბეს იმის შესახებ, თუ რა გრანდიოზული მუშაობა განხორციელდა ამ რესპუბლიკაში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, უამბეს ყაზახეთის წიაღთა აუოიცხელ სიმდიდრეზე, სულ სხვადასხვა მადნეულისა და ქვანახშირის ჯერ კიდევ ხელუხლებელ საბადოებზე. იუგოსლავმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა გასინჯეს ყაზახეთის ღვინოები და ვაშლი — განთქმული ალმა-ატის ასორტი. ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელში აიღო ბოკალი და წარმოთქვა სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს ყაზახეთის რესპუბლიკას, გაუმარჯოს ყაზახეთის ხალხებს!

პრეზიდენტმა ტიტომ სიამოვნებით შესვა ეს სადღეგრძელო.

საქართველოს სსრ პავილიონში იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლები შეჩერდნენ სტენდებთან, რომლებიც ასახავენ იმ დიდ მუშაობას, რაც ხორციელდება რესპუბლიკის კოლხიდის დაბლობის ამოშრობისა და გვალვიანი რაიონების მორწყვისათვის. შემდეგ ყველანი შევიდნენ ვრცელ ორანჟერიაში, სადაც წარმოდგენილია საქართველოს მდიდარი სუბტროპიკული ფლორა. აქ უკვე დამწიფდა მანდარინი. ა. ი. მიქოიანმა მოწყვიტა რამდენიმე ნაყოფი და შესთავაზა იუგოსლავ სტუმრებს.

უკრაინის სსრ პავილიონის ექსპონატები მკაფიოდ მოწმობენ უკრაინელი ხალხის მიღწევებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მათი დათვალიერების დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ ტიტოს წარუდგინა სოციალისტური შრომის გმირი ფ. ი. დუბკოვეცკი, [illegible] ოლქის მოწინავე კოლმეურნეობის „ზდობუტოკ უკრაინასა“ [illegible], რომელიც გამოფენაზე ჩამოვიდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ ამხ. დუბკოვეცკი ამ მეურნეობას ხელმძღვანელობს ათობით წლის განმავლობაში.

— ეს ჩვენი უძველესი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, — დასძინა ლ. მ. კაგანოვიჩმა.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების პავილიონში პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ამ მადნეულის ნიმუშთა ვიტრინები, რომლებიც ურანს შეიცავენ, აგრეთვე ატომის ენერგეტიკულ დანადგართა მაკეტები. ცხოველი ინტერესი გამოიწვია საუბარმა რადიოაქტიური იზოტოპების მედიცინაში გამოყენების შესახებ. იუგოსლავ ამხანაგებს უჩვენეს ხელსაწყო — ხელის მანიპულატორი, რომლის საშუალებით უსაშიროდ შეიძლება ვიხმაროთ რადიოაქტიური ნივთიერებანი.

ამის შემდეგ ყველანი გაემართნენ მეცხოველეობის ქალაქში, რათა დაეთვალიერებინათ ჯიშიანი ცხოველები, რომლებიც გამოფენაზე გამოუზავეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. გამოსაყვან წრეში მათ უჩვენეს მაღალი წველადობის ძროხები, სხვადასხვა ჯიშის ცხვრები, ჩორთითი და საჯაგავი ცხენები. საყოველთაო სიამოვნება გამოიწვია, როცა წრეს შემოუქროლა რუსულმა სამცხენა მსუბუქმა ეტლმა, რომელშიც შებმული იყვნენ სისვი ცხენები.

აქედან საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები და პრეზიდენტი ტიტო თავისი თანმხლები პირებით გაემართნენ სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის ძირითადი პავილიონისაკენ — მანქანათმშენებლობის პავილიონისაკენ. ისინი მიდიოდნენ ხეივნებით, რომელთა გაყოლებით დარგულია ვაშლის ხეები. ხეები ახლა აყვავებულია.

ამ პავილიონის მრავალ დარბაზში თავმოყრილია მრავალნაირი ექსპონატები. აქ არის კუიბიშევის ჰესის ჰიდროტურბინის მუშა ბორბალი, რომლის დიამეტრი ცხრა მეტრს აღემატება და წონა 400 ტონას. აქვეა ამ ჰიდროტურბინის მოქმედი მოდელი.

— შესადუღებელი აპარატები — აი ეს მაინტერესებს. ეს ჩემი სტრუკაა, — თქვა პრეზიდენტმა ტიტომ, როცა ათვალიერებდა უახლეს შესადუღებელ ტექნიკას (სტრუკა ნიშნავს სპეციალობას).

ქვანახშირის მრეწველობის განყოფილებაში სტუმრებმა ნახეს ორი ქვანახშირის ლავის მაკეტი მანქანების მთელი კომპლექსით, უახლესი ტიპის სამთო კომბაინები, ქვანახშირის და ქანის დასატვირთავი მანქანები, სამთო გვირაბების ლითონისა და რკინაბეტონის სამაგრები. რამდენიმე დარბაზში მათ დაათვალიერეს ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ელექტროსადგურების სამინისტროს საწარმოთა ექსპონატები. მსუბუქი ავტომობილების დათვალიერებისას პრეზიდენტი დაინტერესდა „ზის-111“ საცდელი ნიმუშით. კომფორტულ შვიდადგილიან მანქანას შეუძლია განავითაროს 160 კილომეტრამდე სიჩქარე საათში.

პავილიონიდან გამოსვლისას, ამხანაგმა ტიტომ თქვა, რომ ეს გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პავილიონია.

ექსპონატთა დათვალიერების შემდეგ გამოფენაზე სტუმრების პატივსაცემად გაიმართა საუზმე, რომელმაც განსაკუთრებით გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

გამოფენის დათვალიერების სახსოვრად იუგოსლავ ამხანაგებს გადაეცათ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლები.

შემდეგ სტუმრები მანქანებით გაემართნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ ბოტანიკურ ბაღში, რომელიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიას ესაზღვრება. მის ორანჟერიებში თავმოყრილია დიდძალი ტროპიკული მცენარე. ვიღაცამ თქვა, აქ ძალიან ცხელაო. ამაზე ამხანაგმა ტიტომ ხუმრობით შენიშნა, მეცნიერების გულისათვის შეიძლება თავი შევიწუხოთო.

პრეზიდენტ ტიტოს მეუღლეს ბაღის მუშაკებმა ორქიდეების მშვენიერი თაიგული მიართვეს.

ბოტანიკური ბაღის დათვალიერების შემდეგ იუგოსლავი სტუმრები კვლავ დაბრუნდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ შესასვლელთან. გულითადი მადლობა გადაუხადეს რა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენების მუშაკებს გულთბილი და გულითადი მიღებისათვის, ისინი გაემგზავრნენ თავიანთ რეზიდენციაში. როცა ისინი ტოვებდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიას, მათ მიესალმნენ შეკრებილი მოსკოველები.

* * *

პრეზიდენტმა ტიტომ, მისმა მეუღლემ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საღამოს ფეხით შემოიარეს დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები — გორკის ქუჩა, სამხატვრო თეატრის გასასვლელი და სხვ., დაათვალიერეს ა. ს. პუშკინის, ეური დოლგორუკის ძეგლები და სხვ.

მათ გულთბილად ხვდებოდა და აცილებდა ათასობით მოსკოველი. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა საუზმე გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად

4 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა საუზმე გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად.

საუზმეზე იუგოსლავიის მხრივ იყვნენ: იოსიპ ბროზ ტიტო და მისი მეუღლე, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი და მისი მეუღლე, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი და მისი მეუღლე, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი და მისი მეუღლე, რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური მდივანი იოჟე ვილფანი, შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯურო სტანკოვიჩი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტის შეფი ანტონ ვრატუშა, უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტის უფროსი გენერალ-პოდპოლკოვნიკი მილოშ შუმონია, პრეზიდენტის მთავარი ადიუტანტი გენერალ-მაიორი მილან ჟეჟელი, ეკონომიური დაგეგმვის საკავშირო სამმართველოს დირექტორის მოადგილე ნიკოლა ჩობელიჩი და იუგოსლავიის დელეგაციის სხვა წევრები: ბოჟიდარ ლავრიჩი, რადოვან ლალიჩი, ბრანკო ვუჩინიჩი, ლუკა ბოჟოვიჩი, მილა სტოინიჩი, მირკო მილუტინოვიჩი, ტიხომირ სტანოევიჩი, ალექსანდარ შოკორაცი; სრულუფლებიანი მინისტრი, სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ბოგდან ოსოლნიკი, საელჩოს მრჩეველები ფილიპე ბაბიჩი და ჩედო ბორჩიჩი, სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი ბოგდან მამულა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ: ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები შ. მ. არუშანიანი, ო. ვ. კუუსინენი, მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-5 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. დ. ლევიჩკინი.

საუზმის დროს, რომელმაც განსაკუთრებულ გულითად ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

ძვირფასო ამხანაგო ტიტო! ძვირფასო სტუმრებო!

დიდ სიამოვნებას მანიჭებს წარმოვთქვა თქვენი, ამხანაგო ტიტო, და ყველა აქ მყოფი ჩვენი სასურველი სტუმრების, მოძმე სოციალისტური იუგოსლავიის ხელმძღვანელების სადღეგრძელო.

საბჭოთა კავშირში თქვენი ჩამოსვლა, ძვირფასო ამხანაგებო, და ის განსაკუთრებით მხურვალე გრძნობები, რომლებითაც თქვენ საბჭოთა ხალხი შეგეგებოდათ, ჩვენს ქვეყნებს შორის შეგობრული ურთიერთობის განვითარების კარგი მაგალითია. ამხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ძმური ერთიანობა და ურთიერთნდობა ჩვენს ხალხებს შორის კვლავ აღდგენილია, მაგრამ უკვე ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მეგობრობა სამუდამოა!

თქვენი ყოფნა ჩვენს ქვეყანაში, ამხანაგო ტიტო, დარწმუნებული ვართ ამაში, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი აყვავების ახალი ძლიერი სტიმული იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი საუბრები გულახდილობისა და გულითადობის ატმოსფეროში ნაყოფიერი იქნება და ახალი ეტაპი გახდება ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განმტკიცებაში, ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენს კეთილ, გულითად ურთიერთობას, ჩვენი ქვეყნების თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ჩვენს საერთო მისწრაფებას ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისადმი უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაში.

მე ვსვამ ძვირფასი ამხანაგის ტიტოს და მისი მეუღლის სადღეგრძელოს, ამხანაგების კარდელისა და პოპოვიჩის და მათი მეუღლეების სადღეგრძელოს, ამხანაგების ტოდოროვიჩისა და ბლაჟევიჩის, აგრეთვე ყველა ძვირფასი იუგოსლავი სტუმრის სადღეგრძელოს, სოციალისტური იუგოსლავიის ხალხთა ბედნიერებისა და აყვავების სადღეგრძელოს, ჩვენს ხალხებს შორის ურღვევი ძმური მეგობრობის სადღეგრძელოს.

საპასუხო სიტყვაში ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ თქვა:

ამხანაგო თავმჯდომარევ!

ძვირფასო მეგობრებო!

მეტად აღმაფრთოვანა რა მეგობრულმა სიტყვებმ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა საუზმე გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად

(დასასრული)

შედეგები მოჰყვება ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხებს შორის ყოველმხრივი მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში, ჩვენი ურთიერთგაგებისა და ნდობის გაძლიერების საქმეში. ჩვენ აგრეთვე გვწამს, რომ მშვიდობისა და მშვიდობისმოყვარული საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისადმი დიდი ერთგულება, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის მთავრობის პოლიტიკაც და იუგოსლავიის მთავრობის პოლიტიკაც, სრულად გამოვლინდება ჩვენს საუბრებში და საერთაშორისო ურთიერთობის არსებულ საერთო საკითხებზე აზრთა გაზიარებაში და რომ ამრიგად საბჭოთა კავშირში ჩვენი ყოფნა შესაბამისი წვლილი იქნება მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისა და განმტკიცების საქმეში.

ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრული გრძნობები წარმოშვა ჩვენი ხალხების ბრძოლამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის. ეს მეგობრობა განსაკუთრებით გამოიხატა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მეორე მსოფლიო ომის დროს. საბჭოთა კავშირის ხალხებმა თავიანთი ქვეყნის გაჩანაგების ფასად და მილიონობით თავიანთი შვილის მსხვერპლად მიტანის ფასად, იკისრეს რა საომარი მოქმედების ძირითადი ტვირთი, დანარჩენ მოკავშირეებთან ერთად გამარჯვებით დააგვირგვინეს ეს ბრძოლა. იუგოსლავიის ხალხებმაც თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიტანეს თავიანთი წვლილი ოკუპანტების მნიშვნელოვნად ჭარბი ძალების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში მოპოვებულ ამ გამარჯვებაში. მათ ცარიელი ხელით დაიწყეს აჯანყება იმ პერიოდში, როცა მთელი ევროპა, გარდა სსრ კავშირისა უკვე დამონებული იყო, და შეუპოვარი ბრძოლებით, მძიმე მატერიალური და ადამიანთა მსხვერპლის გაღებით, მოიპოვეს თავიანთი ეროვნული თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სოციალური განთავისუფლება. ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევა ის არის, რომ ჩვენ ეროვნული განხეთქილებისა და იმ ურთიერთსიძულვილის ნანგრევებზე, რომელსაც იყენებდა და აღვიზდა ომამდელი იუგოსლავიის ყველა რეჟიმი, შევქმენით მტკიცე სოციალისტური კოლექტივი — იუგოსლავია, რომელიც ახლა თავისი 17 მილიონი წევრით მშვიდობის აქტიური და სასარგებლო ფაქტორია. დიდი ოქტომბრის რევოლუცია, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, შთამაგონებელი მაგალითი და ნიშანსვეტი იყო ჩვენი ხალხებისათვის წარსული ომის დროს, ისევე როგორც იგი იყო წინანდელ ჩვენს ბრძოლაშიც. დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეებით კვლავაც აღფრთოვანებულნი ჩვენ შევუდექით სოციალიზმის მშენებლობას და მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ, მიუხედავად მემკვიდრეობად მიღებული სამეურნეო ჩამორჩენილობისა და ომით გამოწვეული აოხრებისა.

იცავენ რა ჩვენი კავშირურთიერთობისა და ჩვენი ერთობლივი ბრძოლის ხსოვნას, ჩვენი ხალხები სიხარულით მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებას აღმოეფხვრა არანორმალური და მავნე მდგომარეობა ჩვენს ურთიერთობაში, მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ახლო წარსულში, და იუგოსლავიის მთავრობასთან ერთად დაეწყო ჩვენს ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი მეგობრული თანამშრომლობის საფუძვლების ძიება.

მოლაპარაკებას, რომელსაც ჩვენ ამხანაგებთან ხრუშჩოვთან, ბულგანინთან, მიქოიანთან და სხვებთან ვაწარმოებდით შარშან იუგოსლავიაში თქვენი მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს, მოჰყვა ბელგრადის ერთობლივი დეკლარაციის ხელის მოწერა. ბელგრადის დეკლარაცია ისტორიული მნიშვნელობის აქტია, და იგი პოლიტიკური საფუძველია, რომელზეც ვითარდება იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა. მაგრამ ეს დეკლარაცია სწორედ თავისი დიდი მნიშვნელობის გამო, როგორც დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ახალ პრინციპულ დებულებათა ელემენტებს როგორც სოციალისტური, ისე დანარჩენი ქვეყნების ურთიერთობაში, სცილდება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ფარგლებს და გახდა საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ დეკლარაციის მეტად სასარგებლო გავლენა არა მხოლოდ სსრ კავშირისა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის დადებითი განვითარების აზრით, არამედ საერთაშორისო მოვლენებშიც. სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობისა და სხვების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებმა, რომლებსაც ითვალისწინებს დეკლარაცია, ძლიერი ბიძგი მისცა ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას და უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი შედეგები ჩვენი თანამშრომლობის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ-მეცნიერულ და სხვა დარგებში. ჩვენ ახლა შეგვიძლია სიამოვნებით ვამტკიცოთ, რომ ამ პრინციპებს კეთილნაყოფიერი და დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ურთიერთობის განვითარებაში და რომ წარმატებით განხორციელდა ყველა ის ღონისძიება, რომლებიც დეკლარაციამ დასახა ჩვენს ორივე ქვეყანას შორის გაგებისა და მეგობრობის გასაძლიერებლად. ამიტომ სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს, ამხანაგო თავმჯდომარევ, რომ საუბრები, რომლებიც ჩვენს შორის მოხდება, შესაძლებელს გახდის, რომ განხორციელდეს ახალი ეტაპი ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში, ხოლო წარმატებანი, რომლებსაც ამ დარგში მივაღწევთ, სასარგებლო იქნება არა მარტო ჩვენი ხალხებისათვის, არამედ სასარგებლო იქნება მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგებისათვის. სწორედ ეს მიზნები, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების, მშვიდობისმოყვარული საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მიზნები შეადგენს თქვენს ქვეყანაში ჩვენი ვიზიტის აზრს.

მე წარმოვთქვამ ამხანაგ ვოროშილოვის სადღეგრძელოს, საბჭოთა კავშირის დანარჩენ ხელმძღვანელ ამხანაგთა სადღეგრძელოს, ამხანაგ ვოროშილოვის მეუღლის სადღეგრძელოს. ბედნიერებასა და კეთილდღეობას ვუსურვებ სსრ კავშირის ხალხებს, ვისურვებ სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის ხანგრძლივი მეგობრობის შემდგომ აყვავებას.

(საკდესი).

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო

4 ივნისს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ ვიზიტი გაუკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს ახლდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი.

საუბარი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს შორის მიმდინარეობდა გულითად, მეგობრულ ვითარებაში. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო

4 ივნისს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს.

ამხანაგ ტტოს ახლდნენ საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი.

ნ. ა. ბულგანინსა და იოსიპ ბროზ ტიტოს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა

საუბარი მთავარი საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარესთან სსრ კავშირის სახელმწიფო ტექნიკის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ამხ. ი. ე. მაქსარიოვთან

4 ივნისს მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა. იგი მოთავსებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონთა საერთო ანსამბლში.

20 პავილიონში თავმოყრილი ექსპონატები ასახავენ საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის წარმატებებს უკანასკნელ წლებში, გვიჩვენებენ მეექვსე ხუთწლედში სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივებს. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები განსაზღვრავენ, ეს, იქნება ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარების, წარმოების უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე სწრაფი მეურნეობის გადაყვანის ხუთწლედი.

გამოფენა პროპაგანდას გაუწევს სრულყოფილ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, მოწინავე გამოცდილებას, ხელს შეუწყობს სპეციალისტთა ფართო წრის ჩაბმას მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების დამუშავებაში. ყველაფერი, რაც წარმოდგენილია გამოფენაზე, შექმნილია საბჭოთა ადამიანების ხელით საბჭოთა საწარმოებში.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პავილიონია მანქანათმშენებლობის პავილიონი. 200-ზე მეტ სტენდსა და მაკეტზე მოცემულია ტექნოლოგიური პროცესებისა და ცალკეულ მანქანათა, ხელსაწყოთა და აპარატთა აგებულების სქემები. პავილიონის ახლოს არის ხუთი ღია მოედანი, რომლებზეც განლაგებულია დიდი ტვირთამფეროს ავტომობილები და ავტობუსები, სპეციალური დანიშნულების ავტომობილები, მაღალოქტანი აპარატურა, მიწის სათხრელი მანქანები.

დარბაზებში წარმოდგენილია უახლესი ენერგეტიკული მოწყობილობა და მოწყობილობა მეტალურგიული ქარხნებისათვის. ნაჩვენებია მაღალი წარმადობის დგანი, რომლითაც წარმოებს 40 მილიმეტრამდე დიამეტრიანი ბურთების გაგლინვა, მილების სპირალურად შეადუღებელი დგანი, რომლითაც შეიძლება დიდი დიამეტრის მილების გაკეთება ვიწრო ფურცლებისაგან, თხელკედლიანი მილების გორგოლაჭებით ციგად სავლინავი დგანი. გამოფენილია ორთქლისა და გაზის ტურბინები, კომპრესორები, საქაღბე აგრეგატების მაკეტები, მოსიარულე ექსკავატორის, მძლავრი საკარიერო მუხლუხა ექსკავატორისა და პორტალური ამწის მოქმედი მოდელები.

შავი მეტალურგიის განყოფილება მიძღვნილია მიღწევებისადმი სამთამადნო და კოქსქიმიური მრეწველობის, საბრძმედე, ფოლადსადნობი, საგლინავი წარმოების დარგში. აქ არის თანამედროვე ბრძმედის მოქმედი მოდელი, მისი ავტომატური მართვის პულტი. გამოფენილია მარტენის ღუმელთა მოდელები. საგლინავი წარმოება წარმოდგენილია ბლუმინგის საამქროს მაკეტით.

სსრ კავშირის რუკაზე დამთვალიერებლები ნახავენ ჩვენი ქვანახშირის აუზების განლაგებას. ნაჩვენებია ორი ქვანახშირის ლავი მანქანების მთელი კომპლექსით, მოწყობილობა, რომელიც იხმარება ჰიდრავლიკური წესით ქვანახშირის ამოღების დროს, კომბაინები და სატვირთავი მანქანები.

გემთმშენებლებმა წარმოადგინეს სხვადასხვა დანიშნულების სამოქალაქო საზღვაო და სამდინარო გემების მოდელები, საშტურმანო და სანავიგაციო ხელსაწყოები, რადიოლოკაციის სადგურები, რომლებიც გემებზე იხმარება.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნებმა გამოაფინეს ნატურით „ტ-3“ თბომავლის სამართავი პულტი, ამ მძლავრი ლოკომოტივის მოდელი და სხვა ექსპონატები.

საავტომობილო მრეწველობის განყოფილებაში გაეცნობით მუშაობას ახალი კონსტრუქციების მანქანების შესაქმნელად მოსკოვის, გორკისა და მინსკის საავტომობილო ქარხნებში. აქ არის ავტომობილების, ავტობუსების, მოტოციკლების, ველოსიპედების ახალი მოდელები, ბურთულაკისართა მრეწველობის პროდუქცია.

რამდენიმე დარბაზში მოთავსებულია მუხლუხა და თვლიანი ტრაქტორები, სამინდის სასოლოსედ ასაღები ახალი კომბაინი „კსკ-2,6“, რომლითაც წარმოებს სიმინდის ტაროსა და ღეროს ცალცალკე აღება და ამავე დროს დაკუწვა. ბულულებიდან თივის ასაღები და დასაწნეხავი ორი მანქანა, სამინდის ასაღები ახალი სამმწკრივა კომბაინი „კუ-3“, ბაღოსტნის დიზელიანი ტრაქტორი „დტ-45“ ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი მანქანების აგრეგატში, აგრეთვე თვითმავალი ზასი მრავალი კიდული ია ია ალი.

ნაჩვენებია მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, სამსმელი წარმოების, ლითონის ჭედვის, ტვიფრვის, ჭრით დამუშავების განვითარება ჩვენს ქარხნებში. აქ გაეცნობით პროგრესულ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და ლითონის დიდი ეკონომია მივიღოთ. ნაჩვენებია შედუღების ტექნიკა, ახალ სახეობათა ინსტრუმენტები, საზომ ხელსაწყოები.

მეცნიერული კვლევისათვის საჭირო მიკროსკოპების, გეოდეზიური ხელსაწყოების, კინოგადასაღები აპარატების თანამედროვე ნიმუშები წარმოდგენილია ოპტიკის განყოფილებაში. აქვე ციტრონებშია ფოტოაპარატები „ზორკი“, „კიევი“, „სპუტნიკი“, „ლენინგრადი“ და სხვა მარკებისა. ისინი აღჭურვილი არიან სხვადასხვა მოწყობილობით, რომელიც აადვილებს კარგი ფოტოსურათების მიღებას გადაღების ყოველგვარ პირობებში.

გამოფენის ექსპონატების მიზედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ სსრ კავშირში ჰიდროენერგეტიკის განვითარებაზე. წარმოდგენილია კუიბიშევისა და ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურების მაკეტები, ენერგეტიკულ სისტემათა ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის საშუალებანი. სპეციალური სტენდი მიძღვნილია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნისადმი. დამთვალიერებლები იცნობიან 400 ათასი ვოლტი ძაბვის უნიკალურ ელექტროგადამცემ ხაზს.

რადიომრეწველობისა და კავშირგაბმულობის განყოფილებაში ასახულია მიღწევები რადიოფიკაციის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, რადიოკავშირგაბმულობისა და საელექტროკავშირგაბმულობის დარგში. ექსპონირებულია ახალი რადიომიმღებები და ტელევიზორები. ახლა ჩვენ გვაქვს 12 ტელეცენტრი, 1956-1958 წლებში აიგება და ამუშავდება კიდევ 42. 1960 წელს ტელეცენტრების რიცხვი გადიდდება 75-მდე.

ჩარხმშენებლობის პავილიონში მთავარი ადგილი უკავია მრავალსპოზიციურ საგრეგატო ჩარხებს, ავტომატ მოწყობილობას, რომელზეც შეიძლება სულ სხვადასხვა ოპერაციის შესრულება დეტალების დამუშავებისას.

გამოფენის ერთ-ერთ ხეივანში არის პავილიონი „ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნით“. პირველად არის ფართოდ და ყოველმხრივ ნაჩვენები ატომის ენერგია მომყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წარმოდგენილია სამართავი ჯაჭვური ატომგულის რეაქციის პრინციპული სქემა, აგრეთვე ამარაატორა, რომელიც იხმარება ატომგულის გამოსხივებათა თვისებებისა და ინტენსიურობის კვლევისათვის. ფოტოსურათები მოგვითხრობენ, რომ სსრ კავშირში შენდება უდიდესი დამჩქარებელი — სინქროფაზოტრონი 10 მილიარდი ელექტრონვოლტი პროტონის ენერგიისა.

ორგანული შუშის მაკეტი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომის ელექტროსადგურის აგებულება და სიდიდე. ეს სადგური აშენდება მეექვსე ხუთწლედში. აქვეა სადგურის განათებული სქემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, როგორ მიმდინარეობს ატომგულის ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნის მთელი პროცესი, აგრეთვე მოქმედი რეაქტორი. წარმოდგენილია მფარავი ტექნიკის ხელსაწყოები და აპარატურა, მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენებაზე სახალხო მეურნეობაში. დამთვალიერებლები ხედავენ, როგორ იყენებენ რადიოაქტიურ იზოტოპებს მედიცინაში. ყოველივეფრად ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში იგზავნება რადიოაქტიური იზოტოპების 1.500-მდე ამანათი. გამოფენაზე ნაჩვენებია რადიოაქტიური კობალტის მოსასხივებელი მოქმედი თერაპევტული გამაამარატები, კლინიკურ-დიაგნოსტიკური და საზომი აპარატურა.

ბევრი ექსპონატია გეოლოგიის, ნავთობისა, და ქიმიის პავილიონში. სსრ კავშირის რელიეფის გეოლოგიურ რუკაზე ნაჩვენებია მთამდელეულის 300-მდე უმნიშვნელოვანესი საბადო. საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი აგილი უკავია შავი ლითონების მარაგის მხრივ. ვიტრინებშია მადნების ნიმუშები. ნაჩვენებია ნავთობიანი ფენების საკვლევი და ნავთობის ამოღების ავტომატიზაციის აპარატურა.

ტურბინბურღვა — ნავთობისა და გზის ჭაბურღილების სამრეწველო გაბურღვის ძირითადი წესი — ნაჩვენებია მოქმედი საბურღავი დანადგარის მოდელით. დამთვალიერებელი ეცნობა ნავთობის გადამუშავების და ხელოვნური თხევადი საბობის წარმოებას.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მძლავრი ქარხნები და კომბინატები მინერალური მეადენისა და ფარილების წარმოებისათვის, რომლებიც თანამედროვე სამრეწველო ქიმიის საფუძველია. გამოფენაზე შეიძლება ნახოთ, როგორ მზადდება გოგირდმჟავა — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქიმიური პროდუქტი, სოდა, სასუქები, შხამქიმიკატები და სხვ. უურადღებას იპყრობს ხელოვნური ქვების ნიმუშები, რომლებიც სიმაგრით და სილამაზით არ ჩამოუვარდებიან, ხოლო მთელ რიგ შეთხვევებში სჭარბობენ კიდეც ლალს, საფიროსს, თიუაზს და სხვა ბუნებრივ ძვირფას და ნახევრადძვირფას ქვებს.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი მსუბუქ მრეწველობას: საფეიერო, სამკერვალო, ტყავისა და ფეხსაცმლის წარმოების განვითარებას. ავრეშუმის, ბამბის, შაქრის, მეღვინეობის პავილიონებში ნაჩვენები იქნება ერთად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკთა მილწევები.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შთამაბი პავილიონის დარბაზებში ნაჩვენებია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში, მათ მიერ ამ პრობლემების დამუშავება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

სულ ნაჩვენები იქნება ათასამდე მანქანა და ჩარხი, აქედან ნახევარი — მოქმედებაში. გარდა ამისა, წარმოდგენილია სამი ათასამდე ხელსაწყო, დიდი მანქანებისა და ტექნოლოგიური ხაზების მოწყობილობის თითქმის 700 მოდელი და მაკეტი.

გამოფენის დამთვალიერებლებისათვის რეგულარულად მოეწყობა ლექციები სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებზე, შრეგადრები წარმოების ნოვატორებთან, სპეციალისტებთან და მეცნიერებთან. გაიმართება სპეციალური რადიოგადაცემები, მეცნიერულ-ტექნიკური ფილმების დემონსტრაცია. თვითეულ პავილიონში შემუშავებულია ორი პროგრამა: ერთი უფრო ფართო — მრეწველობის მოცემული დარგის სპეციალისტებისათვის, მეორე — ადამიანებისათვის, რომლებიც არ მუშაობენ ამ დარგში. მომზადებულია ოთხასზე მეტი ექსკურსიამძღოლი. სამრეწველო სამინისტროები გამოჰყოფენ სპეციალისტებს კონსულტაციის გასაწევად და მანქანებისა და მოწყობილობის საჩვენებლად.

სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა ფიდად საინტერესოა არა მარტო მრეწველობის მუშაკებისათვის, არამედ ყველა შრომელისთვისაც. იგი მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყანა ძლიერი ინდუსტრიული სახელმწიფოა. (საკდესი).

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1 ივნისის ცნობებით)

დღითიდღე ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. 1 ივნისისათვის რესპუბლიკაში სულ მოკრეფილი იყო 18.926,1 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც მაის-ივნისის გეგმის 34,9 პროცენტს შეადგენს.

ბათუმის რაიონში მაის-ივნისის გეგმა შესრულებულია 44,1 პროცენტით, ფოთულთის — 34,4, ქედის — 92,7, გალის — 35,9, ოჩამჩირის — 35,4, გულრიფშის — 49,3, სოხუმის — 23,2, გუდაუთის — 18,2, მაზარაძის — 30,2, ჩოხატაურის — 43, ლანჩხუთის — 33,5, სამტრედიის — 44,1, წულუკიძის — 47,3, ქუთაისის — 31,4, წყალტუბოს — 64.3, ტყიბულის — 19, ცხაკაიას — 42,7, აბაშის — 42.1, გეგეჭკორის — 39,1, ზუგდიდის — 31,5, წალენჯიხის — 29,7, ჩხოროწყუს — 47,2, ხობის — 37, თერჯოლის — 107,8, ზესტაფონის — 62,8, ჭიათურის — 24, ხოლო ვანის რაიონში — 2 პროცენტით.

შრომისა და გმირობისათვის, სამშობლოს სადიდებლად

მოსკოვის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის კრება კრემლის დიდ სასახლეში

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებამ — გაემგზავრონ მშენებლობებზე ადმოსავლეთი და ჩრდილოეთ რაიონებში, მხურვალე გამოძახილი ჰპოვა ახალგაზრდა პატრიოტთა შორის. კვლავ ამოძრავდა კომკავშირელთა მოდგმა, რომელიც მზად არის შრომისა და გმირობისათვის სამშობლოს სადიდებლად.

2 ივნისს მზით გაბრწყინებული წითელი მოედნით მიდიოდნენ კრემლში ახალგაზრდა მოსკოველები, რომლებიც პირველი ეშელონით მიემგზავრებიან აღმოსავლეთში. ისინი მიდიოდნენ, რათა გამოეჭვნათ საბჭოთა პატრიოტების ღრმა გრძნობა, მადლობა გადაეხადათ პარტიისა და მთავრობისათვის დიდი ნდობის მათთვის მიცემული შესაძლებლობის გამო — საქმით უპასუხონ პარტიის XX ყრილობას ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში შეიკრიბა ორი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებმაც კომკავშირულ საგზაფხეთში მიიღეს. მათ შორის არიან ირკუტსკისა და ჩიტის ოლქების ტაიგის სივრცეების მომავალი დამპყრობნი — ქარხნების, გზების, მსოფლიოში უდიდესი ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები. ახალგაზრდა მოსკოველებმა თავიანთი შრომის წილი უნდა შეიტანონ ომსკის, კურგანის, ჩელიაბინსკის. კუსტანაის, აქმოლინსკისა და კრასნოიარსკის ახალ საწარმოთა მშენებლობაში. მოსკოველებს ელოდებიან ალტაის მხარის ქალაქები ბიისკი და რუბცოვსკი, მოლოტოვის, კემეროვოს, ჩკალოვისა და სვერდლოვსკის ოლქები.

ახალგაზრდობა მჭუხარე ტაშით ხვდება პრეზიდიუმში ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვის, ტ. დ. შეპილოვის, ე. ა. ფურცევის გამოჩენას.

საკავშირო ალკაკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ფ. დავიდოვი კრებას ხსნის, გულითადად მიესალმება ახალგაზრდა პატრიოტებს და უსურვებს მათ წარმატებებს შრომაში, სწავლაში, ახალ ადგილებზე პირად ცხოვრებაში. იგი ამბობს, რომ მოსკოველი ჭაბუკები და ქალიშვილები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას. ცოტა დრო გავიდა მიმართვის გამოქვეყნებიდან, ხოლო მოსკოვში უკვე შეტანილია 12,5 ათასზე მეტი განცხადება. ეჭვი არ არის, ამბობს ამხ. დავიდოვი, რომ მოსკოვის კომკავშირის წარგზავნილები ახალ ფურცელს ჩასწერენ კომკავშირულ აჯქმეთა სახელოვან მატიანეში.

დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშვენიერ, ძლიერ სოციალისტურ სამშობლოს!, გაუმარჯოს დიდ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას!“

ტრიბუნაზე ადის ერთი იმათგანი, ვინც პირველი ეშელონით მიემგზავრება აღმოსავლეთ მხარეებში — ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ხარატი იგორ სვინარიოვი.

— მე და ჩემი ქარხნის ამხანაგები მივემგზავრებით კრასნოიარსკის მხარეში, — ამბობს იგი. — კარგად გვაქვს წარმოდგენილი ამ მხარის სიმდიდრე და სილამაზე, მშვენივრად ვიცით, რომ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რათა მისი მთელი სიკეთე ხალხს კუთვნილება გახდეს. ვიცით, ძნელი იქნება ახალ ადგილზე მუშაობა. ჩვენ მივდივართ არა მზამზარეულზე, არამედ იქ, სადაც ყველაფერი ჩვენი ხელით უნდა გაკეთდეს. ადვილი არ არის, რა თქმა უნდა, მოსკოვთან, ნათესავებთან, მეგობრებთან, ქარხანასთან განშორება. მაგრამ რაკი წარმოგვიდგენია, რა საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი მუშაობა მოგველის, ძნელია მოითმინო და ადგილზე დარჩე. პირობას ვიძლევით, რომ არ შევარცხვენთ მშობლიურ ქარხანასა და საყვარელ ქალაქს. განეაგრძობთ კომსომოლკისა და მგზენტოგორსკის მშენებელთა, ყამირი მიწების გმირ დამპყრობთა შესანიშნავ საქმეებს.

სიტყვას ამბობს მოსკოვის საავტომობილო ქარხნის მუშა თამარ ზახაროვა. იგი ლაპარაკობს თავისი საწარმოს ახალგაზრდა მუშებზე, რომლებიც პარტიის მოწოდებით გაემგზავრნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, იქ თავი გამოიჩინეს შრომაში.

დღეს, ამბობს თამარ ზახაროვა, კომუნისტური პარტია ახალ დიდ და სპპატიო საქმეს გვაანდობს. ბედნიერი ვარ, რომ პირველ მოხალისეებთან ერთად მივდივარ. საავტომობილო ქარხანაში შევედი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ვმუშაობდი გადამკვრელად საავტობუსო საამქროში. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ვსწავლობდი ავტომექანიკური ტექნიკუმის საღამოს განყოფილებაში. როცა წაკითხე პარტიისა და მთავრობის მოწოდება კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისადმი, მტკიცედ გადავწყვიტე წავსულიყავი ერთ-ერთ მშენებლობაზე. ჩვენი ქარხნიდან იქ მიდის სამოცი ჭაბუკი და ქალიშვილი. ძლიერ გვიხარია, რომ ვიქნებით ჩვენი მეგობრების — მარცკლელების სამეურნეობა „ეროპეინის“ ახალმოსახლეთა ახლოს. ჩვენ, მომავალი მშენებლები, ყოველივეს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავამართლოთ პარტიის ნდობა, ჩვენი ამხანაგების ნდობა.

ინტერესით უსმენს ახალგაზრდობა მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის ტექნიკოს-დამპროექტებლის ბორის ვსეკოლოდოვის სიტყვას. იგი და მისი მეგობრები ნინო შორნიკოვა, ვალია რემიზოვი, რაგილ კურმაევი, ანრიმ რაინსუნ, ანატოლი ბოლიაკოვი მიემგზავრებიან ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. ახალგაზრდების ეს ჯგუფი იქ მოაწყობს ელექტროკოსთა კომკავშირულ ბრიგადას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა 425-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ იგორ სმირნოვმა. ახლა ეს ჭაბუკი სიმწიფის ატესტატზე აბარებს გამოცდებს. იგი მაუთმენლად ელის იმ მომენტს, როცა შეძლებს დაიწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება.

— სკოლის დამთავრების შემდეგ, — ამბობს იგორ სმირნოვი, — გავემგზავრები ატომის ელექტროსადგურის მშენებლობაზე. მუშობას შეეთავაზებ დაუსწრებელ სამშენებლო ინსტიტუტში სწავლასთან. რა თქმა უნდა, ძნელი იქნება. მაგრამ სამაგიეროდ რა კარგია იყო ისათ შორის, ვინც იპყრობს ცოდნის მძლავრ მდინარეებს, აშენებს ელექტროსადგურებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს. მე მოვუფრდებ მეათეკლასელებს სკოლის დამთავრების შემდეგ წავიდნენ მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე, დაებმაროონ იქ მშობლიურ ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ დედაქალაქის პიონერები. ბუკებისა და დოლების დაკვრით, გაწლილი დროშებით შემოვიდნენ ისინი დარბაზში. ახალგაზრდობა ფიზხე ადგომით მქუხარე ტაშით ხვდება თავის უ

დროზე დავამუშაოთ ნათესები, უზრუნველყოთ უხვი მოსავლის მოყვანა

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს

ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა წელს საგაზაფხულო თესვა აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს. მთავარია ის, რომ წინა წლებთან შედარებით პროგრესული მეთოდებით გაცილებით მეტი დაითესა. მარტო ყვარლის მტს-მა კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 751 ჰექტარი სიმინდი.

მაგრამ ეს როდია საკმარისი. ნათესებს სათანადო მოვლა-დამუშავება ესაჭიროება. ყვარლელები ამას კარგად ითვალისწინებენ. როგორც კი სიმინდმა სამი ფოთოლი გაიკეთა, მექანიზატორებმა კულტივაცია გააჩაღეს.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. ახოშვილი) დიდ ყურადღებას აქცევს სიმინდის მოსავლიანობის გადიდებას. სიმინდის ნათესების კულტივაციას დროულად შეუდგა ყვარლის მტს-ის ტრაქტორისტი ე. ჟონჟოლაძე. იგი „უ-2“ მარკის ტრაქტორით დღეში 15 ჰექტარს ამუშავებს, გეგმა კი 10 ჰექტარს ითვალისწინებს. ახალსოფლელები სიმინდის კულტივაციაში ყველაზე წინ არიან. აქ თოხნაც არ ფერხდება. ყოველდღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებენ.

გრემის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ს. ჩაბრაშვილი), შარშან კვადრატულ-ბუდობრივად 50 ჰექტარზე ეთესა სიმინდი. ნათესი კარგად დაამუშავეს და თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს, ხოლო იმ ნაკვეთებიდან, სადაც სიმინდი მწკრივად იყო დათესილი, საშუალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერზე მეტი ვერ მიიღეს. წელს ენისლის მტს-ის მექანიზატორებმა გრემელებს კვადრატულ-ბუდობრივად დაუთესეს 80 ჰექტარი სიმინდი.

ახლა „ჩალიანის მთის“ გაყოლებით „კორკორაზე“ დაწყებულია სიმინდის დამუშავება. ვ. მჭედლიშვილი შეუფერხებლად მართავს „უ-2“ მარკის ტრაქტორს. ტრაქტორს მიბმული აქვს „კრნ-4,2“ მარკის საკიდი კულტივატორი, რომელიც მტს-მა წელს პირველად მიიღო. მისი უპირატესობა მისაბმელ კულტივატორთან შედარებით ის არის, რომ მიმბმელი არა სჭირდება, ადვილად არ ზიანდება, მოდების სიგანე დიდი აქვს. ვ. მჭედლიშვილი ათი საათის განმავლობაში 25 ჰექტარს ამუშავებს და დავალებას ორმაგად ასრულებს.

კოლმეურნეებმა ნ. კამიშინამ, ყ. ხელაშვილმა, ი. გურასპიშვილმა, შ. ბერიკიშვილმა, ნ. ქებაძემ მოსავლელად მიჩენილი სიმინდის ნაკვეთის თოხნა დაამთავრეს.

მაგრამ ნათესების დამუშავებაში არის ნაკლოვანებებიც. ყვარლის სტალინის სახელობის, გავაზის ვოროშილოვის სახელობის, ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში სიმინდის პირველი თოხნა ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაისი გავიდა, და ჯერ ნათესების მეხუთედიც არ არის გათოხნილი. ამის მიზეზად კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ხშირ წვიმებს ასახელებენ. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ კოლმეურნეთა ერთი ნაწილი კარგ ამინდშიც სამუშაოზე არ გამოდის.

პარტიის ყვარლის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა მიაღწიონ ნათესების დამუშავებაში ჩამორჩენილი კოლმეურნეობების აყვანას მოწინავეთა დონემდე.



ხბოების კვება სპეციალური საწოვრებით კაპრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საზაფხულო საძოვარზე. მეხბორე მარიამ ადუაშვილი თვალყურს ადევნებს ხბოების კვების პროცესს.

ფოტო ტ. ლუნგინასი.

★

გაჩდამავალი დროშა გამარჯვებულებს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით იბრძვის მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ფაბრიკის კოლექტივმა მწვანე აგურა ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 126,1 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით მანეთის აგურა ჩაი დაამზადა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ფაბრიკის კოლექტივს სასურსათო-სასაქონლო მრეწველობის პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და „საქართველოს ჩაის“ ტრესტის გარდამავალი დროშა გადაეცა.

საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაცია

მცხეთა. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში მთელი რიგი სამუშაოები, რომლებიც წინათ ხელით სრულდებოდა, ახლა მანქანებით კეთდება. ამ გაზაფხულზე მცხეთის მტს-მა პირველად განახორციელა მთელ ფართობზე ბოსტნეული კულტურების თესვა ტრაქტორ „ხტზ-7“-ზე საკიდი „სონ-2,8“ მარკის სათესი მანქანებით.

მცხეთელმა მექანიზატორებმა კოლმეურნეობებში დათესეს 28 ჰექტარი ხახვი, 15 ჰექტარი სუფრის ჭარხალი და 7 ჰექტარი სტაფილო. ბოსტნეული კულტურების მანქანით თესვამ თვითეულ კოლმეურნეობას 1 ჰექტარზე 17-18 კაც-დღის ეკონომია მისცა.

მტს-ი კოლმეურნეობებში მასობრივად აწარმოებს ცხვრის მექანიზებულ პარსვას. ამან არა მარტო შეამსუბუქა კოლმეურნეთა შრომა, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდა მატყლის გამოსავლიანობა.

წელს მცხეთელმა მექანიზატორებმა საკოლმეურნეო მინდვრებში არხის სათხრელი მანქანებით რამდენიმე ათეული კილომეტრი საერთო სიგრძის მოდმივი და დროებითი არხები გაიყვანეს.

საგზოთა მშენებლობა

სასოფლო საბჭო და ... კეთილმოწყობა

სოფელი შალაური გაშლილია ციცგომბორის მთის ჩრდილოეთ კალთებზე. აქედან ხელის გულივით მოჩანს ალაზნის ლამაზი და ბარაქიანი ველი, სადაც გაშენებულია შალაურელ კოლმეურნეთა ვენახები, აბიბინებულია პურის ყანები, დათესილია სიმინდი, მზესუმზირა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

გულს ახარებს შალაურის კოლმეურნეობის წარმატება, თვალს ატკბობს სოფლის ლამაზი მდებარეობა, მაგრამ შალაურელები მაინც უკმაყოფილონი არიან, რადგან არავინ ზრუნავს იმისათვის, რომ სოფელი კეთილმოწყობილი და საცხოვრებლად მოხერხებული იყოს.

სოფლის მცხოვრებთა უკმაყოფილება უფრო გასაგები გახდა მას შემდეგ, რაც მდგომარეობა ადგილზე შევისწავლეთ.

შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ჯავახიშვილი თავის კაბინეტში დაგვიხვდა. მისალმების შემდეგ მან საფერშლო-საბებიო პუნქტში კაცი აფრინა სკამების მოსატანად. ამან ჩვენი გაოცება გამოიწვია: ნუთუ აღმასკომს სკამები არა აქვს?

— ნუ გიკვირთ, — ღიმილით თქვა თავმჯდომარემ, — სულ ოთხი სკამი გვაქვს და ზოგჯერ ისინი საფერშლო-საბებიო პუნქტში მიაქვთ, ვინაიდან არც იმათთა აქვთ სკამები. ამ ოთხი სკამის გამო თავის დროზე საყვედურიც მაქვს გამოცხადებული თელავის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ: „უნებართვოდ რატომ შეიძინეო“.

აღმასკომში არც სხვა მხრივ არის წესრიგი: შენობის სახურავი დაზიანებულია და წვიმის დროს წყალი ჩამოდის. საბჭოს ორი ოთახი აქვს, მაგრამ ყველა მისი მუშაკი, თავმჯდომარის ჩათვლით, ერთ ოთახში ზის. მეორე ოთახი კი კარგა ხანია შესაკეთებელია, მაგრამ ამბ. ჯავახიშვილს დღემდე ამაზე არ უფიქრია. აღმასკომის ეზო შემოღობილია და ამიტომ იგი პირუტყვის სათარეშოდ არის გადაქცეული.

საფერშლო-საბებიო პუნქტი, რომელიც იქვე აღმასკომის გვერდით არის, კეთილმოუწყობელია.

თვალის ერთი გადავლებითაც ბევრი რამ ნათელი გახდა. მაგრამ თავმჯდომარეს ზრდილობისათვის მაინც ვთხოვეთ ეამბნა ჩვენთვის, თუ რას აკეთებს სასოფლო საბჭო სოფლის კეთილმოწყობისათვის.

ამბ. ზ. ჯავახიშვილმა აღმასკომის სხდომისა და სასოფლო საბჭოს სესიების ოქმები გადმოგვილაგა. ოქმების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ შალაურში ძალიან უყვართ მსჯელობა, თათბირები, დადგენილებათა მიღება, მაგრამ საკითხს პრაქტიკულად როდი წყვეტენ. ამის ნათელსაყოფად ზემოთქმულს გარდა დავასახელოთ რამდენიმე ფაქტი:

შალაურელებს სოფლის ყოფილი კანცელარიის უხეირო შენობა ერთ დროს კლუბად გადაუკეთებიათ. შენობის კედლები უკვე სიძველისაგან დაბზარულია, სახურავი ჩამონგრევაზეა. მიმდინარე წლის მარტში სასოფლო საბჭოს აღმასკომმა კლუბის შენობის კაპიტალური რემონტის საკითხი განიხილა და ასეთი დადგენილება მიიღო: „დაევალოს კლუბის გამგეს ნ. რევაზიშვილს მოიყვანოს ინჟინერი, შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა, რის შემდეგაც შეადგენს კლუბის კაპიტალური რემონტის საქმეს“. ცხადია, აქ მთავარია არა ოქმის სტილი, არამედ დადგენილების შედეგი: მას შემდეგ უკვე ორი თვე გავიდა, მაგრამ დღემდე ხარჯთაღრიცხვაც არ არის შედგენილი, სამენი მასალების შეძენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

კლუბის გვერდით, 12 კვადრატულ მეტრ ოთახში მოთავსებულია ბიბლიოთეკა. სივიწროვის გამო იგი სანახევროდაც ვერ იტევს გაზეთებისა და წიგნების მკითხველებს. სასოფლო საბჭოს აღმასკომი არც კი ფიქრობს სამკითხველოს გაფართოებაზე.

1950 წელს მიიღეს გადაწყვეტილება ბანოს ამენების შესახებ. მომდევნო წელს სამიოდე ტრემი ქვა მოზიდეს. მშენებლობა, როგორც იქნა, 1952 წელს დაიწყო. მას შემდეგ 4 წელი გავიდა, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. ვერ ვიტყვით, რომ ბანოს მშენებლობის საკითხი სასოფლო საბჭოს არ განეხილოს და დადგენილება არ მიეღოს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

სოფელში 560-მდე კომლი ცხოვრობს. ზოგიერთი უბნის მცხოვრებლებს შორიდან უხდებათ სასმელი წყლის ზიდვა. ამ საქმის მოსაგვარებლად წელს ერთ-ერთ უბანში ჭაბურღილი გათხარეს. ცხადია, ამით კარგი საქმე დაიწყეს, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ბოლომდე ვერ მიიყვანეს. ახალი ჭაბურღილიდან წყლის გაყვანის საკითხი მარტში სასოფლო საბჭოს სესიის მსჯელობის საგანიც გახდა. სესიის გადაწყვეტილებით წყლის გაყვანა პირველ მაისამდე უნდა დამთავრებულიყო, ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოს კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ფ. ბოციერიძეს დაევალა. როგორც ბევრ სხვა დადგენილებას, ისე ამ დადგენილებასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ჭაბურღილის წყალი დღემდე მხოლოდ შარაგზას აზიანებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში შალაურელებმა ზოგი რამ გააკეთეს სასოფლო გზების კეთილმოსაწყობად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი უბანში გზები იმდენად კეთილმოუწყობელია, რომ ცუდ ამინდში გავლაც შეუძლებელი ხდება.

სოფლის კეთილმოწყობა არ წარმოადგენს შალაურის სასოფლო საბჭოსა და მისი აღმასკომის მუდმივი ზრუნვის საგანს. სასოფლო საბჭოს დეპუტატთა დიდი ნაწილი არავითარ პასუხისმგებლობას არა გრძნობს ამომრჩეველთა წინაშე, ანგარიშს არ უწევს მათს წინადადებებს, აღმასკომს თავის გარშემო შემოკრებილი არა ჰყავს აქტივი.

შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომს მუშაობის გაუმჯობესებაში საქმიანად უნდა დაეხმაროს თელავის რაისაბჭოს აღმასკომი.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოწინავე მეჭარხლეები

გორი. (საკ. კორ.). სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომა“ რაიონში ყოველწლიურად დიდი გადამეტებით ასრულებს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმას. ფლაველ მეჭარხლეებს წელსაც კარგი პლანტაცია აქვთ. კოლმეურნეობამ ოთხ დღეში დაამთავრა შაქრის ჭარხლის ნიადაგის მსუბუქი გაფხვიერება. ახლა გამოხშირვის სამუშაოები მიმდინარეობს. ბრიგადა, რომელსაც წარჩინებული მეჭარხლე რევაზ გიუნაშვილი ხელმძღვანელობს, წელს იბრძვის იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 700 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 370 ცენტნერისა.

შაქრის ჭარხლის პლანტაციას მზრუნველობით უვლიან სოფელ ზერტის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ დაწინაურდნენ მემინდვრეობის პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე და მერვე ბრიგადები, რომლებმაც ორსამ სამუშაო დღეში დაამთავრეს შაქრის ჭარხლის პლანტაციაში ნიადაგის მსუბუქი გაფხვიერება. ზერტელ მეჭარხლეთა ვალდებულებაა 45 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 650 ცენტნერი ჭარხალი, გეგმა კი 380 ცენტნერის მიღებას ითვალისწინებს.

შაქრის ჭარხალს კარგად უვლიან აგრეთვე სოფლების შავშვების, ზეღდულეთის, კარალეთის, ქვახვრელის კოლმეურნეობები.

პირობა უნდა შესრულდეს

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში მეჭარხლეობას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. აქ ბევრია ისეთი სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც შაქრის ჭარხლის მოწინავე აგროტექნიკის დანერგვით ყოველწლიურად ზრდის ამ კულტურის მოსავლიანობას.

წელს ხაშურელმა კოლმეურნეებმა კარგად გამოიყენეს ხელსაყრელი ამინდი და შაქრის ჭარხალი მოკლე ვადებში დათესეს.

სოფელ ქვემო ოსიაურის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობამ შაქრის ჭარხალი 36 ჰექტარზე დათესა შემოდგომით კარგად მოხნულ ნიადაგზე. ხვნის წინ თვითეულ ჰექტარზე შეიტანეს 120 ცენტნერი გადამწვარი და ექვსი ცენტნერი მინერალური სასუქი. თესვის დროს ნიადაგი კვლავ გაანოყიერეს მინერალური სასუქებით. ამიტომ მთელ ფართობზე ჭარხალი თანაბრად არის აღმოცენებული და განვითარებული. აქ ნათესებს კარგად უვლიან.

კოლმეურნეობაში გულდასმით განიხილეს უკრაინელ მეჭარხლეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეების მიმართვა ყველა მეჭარხლისადმი შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ცალკეულმა ბრიგადებმა, რგოლებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კოლმეურნეობის პირველმა ბრიგადამ, რომელსაც შრომისმოყვარე კოლმეურნე ლ. მახარაშვილი ხელმძღვანელობს, ბევრჯერ ისახელა თავი ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებით. წელს მას ნაკისრი აქვს ვალდებულება 17 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 450 ცენტნერი ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 290 ცენტნერისა. მოხუცმა კოლმეურნემ მ. მეტივიშვილმა, რომელმაც შარშან ჰექტარზე 600 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა, პირობა დადო წელს 100 ცენტნერით გადააჭარბოს ამ ციფრს. გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე კოლმეურნეებმა ბ. ზღუდაძემ, ქ. ფილიშვილმა და სხვებმა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობები წელს განსაკუთრებული გულმოდგინებით იბრძვიან ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ნაკლოვანებანი მაინც არის. ზოგიერთი კოლმეურნეობის ჭარხლის პლანტაციაში დადგმული არ არის მავნებლების მისატყუებელი ბადაგით სავსე გობები.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა და სპეციალისტებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ყოველი დღე, შექმნან საჭირო პირობები შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მისაღებად.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თაფლის დამშრალი წყაროები

ბუნების სილამაზით განთქმულ ახალზეკში, რომელიც მთელ ზაფხულს ძღვანე ბალახით და ნაირფერი ყვავილებით არის მორთული, სოფელ ძლეთის კოლმეურნეობის საძოვრებზე ჩვენი ყურადღება მიიპყრო კულტურულად მოწყობილმა საფუტკრემ.

ალღუნის შეფერდებაზე მწკრივებად დალაგებული სკები შორიდან მინიატიურულ ქალაქს ჰგავდა, რომლის „ქუჩებზე“ ფრთხილად დააბიჯებდა ივანე კაიუკოვი — საფუტკრის გამგე ანუ, როგორც მას ხუმრობით ეძახიან, „პატარა ქალაქის დიდი კომენდანტი“.

ივანე ეროვნებით რუსია — გროზნოს ოლქიდან, მაგრამ ქართველივით შავგვრემანი და შავთვალწარბა კაცია, პირი სუფთად აქვს გაპარსული და ზაპოროჟული ულვაშებიც კოხტად აქვს დაყენებული. კაიუკოვს ეტყობა, რომ მშვიდი ბუნების ადამიანია. საფუტკრეში სხვანაირად არც შეიძლება. ვთქვათ, ფუტკარი სახეზე დაგაჯდათ, თუ ნერვიულობა და ხელების ქნევა დაიწყეთ, მხამიანი ისარი არ აგცდებათ, ხოლო თუ მშვიდად იქნებით, ფუტკარი თავის გზას მოძებნის.

ოცდაათი წელიწადი ივანემ ფუტკარს შეალია, განათლებით ზოოტექნიკოსმა მრავალი წლის მანძილზე სხვადასხვა საბჭოთა მეურნეობაში იმუშავა და ყველგან სახელი გაითქვა როგორც ფუტკრის ნამდვილმა მეგობარმა. შემდეგ ხანდაზმულობის გამო პენსია დაუნიშნეს, მაგრამ გულმა არ მოუსვენა და, როცა ძლეთელებმა დახმარება სთხოვეს, უარი არ უთქვამს — მეორე წელიწადია, რაც ახალხევში საფუტკრეს ხელმძღვანელობს.

... ივანეს ტილოს თეთრ კარავში ვართ, გარედან ალღუნის ხმაური და ფუტკრის ბზუილი ისმის, კარავში ახალი თივისა და ყვავილების სურნელი დგას. მაპინძელი სტუმრებს თაფლისაგან შარბათს უმზადებს.

დიდი ხანია ძლეთელებს ფუტკარი ჰყავთ. ადრე ამ საქმეს იოსებ ნაზღაიძე ედგა სათავეში. უცოდინარობა თუ გულგრილობა იყო, არავინ იცის, ისე კი ყველას ახსოვს, რომ საფუტკრეს თაფლი არასოდეს არ მოუცია.

— ივანეს მოსვლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. შარშან ოცდათხუთმეტი სკიდან 1.282 კილოგრამი თაფლი მივიღეთ, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხვთისო პეტრიაშვილმა.

— ფუტკარი დაავადებულია, — ჩაურთო ივანემ, — ახლაც ვმკურნალობთ, თორემ გაცილებით მეტს მივიღებდით...

— ქართული რუხი ფუტკარი, — განაგრძო მან, — საოცრად თვინიერია. მას მუშაობის დიდი ენერგია, თაფლის შეგროვების საუკეთესო უნარი და გრძელი ხორთუმი აქვს. მშვენივრად მუშაობს ახალხევის პირობებში. მე ვიტყოდი, აქაური ბუნება ფუტკრისთვის ზედგამოჭრილია...

კაიუკოვმა ბევრი რამ გვიამბო ბუნების საოცარი ქმნილების — ფუტკრის შესახებ:

— ალბათ გაგიგონიათ, რომ ხალხური მედიცინის პოპულარულ სამკურნალო საშუალებებთან ერთად თაფლს თვალსაჩინო ადგილი უკავია, თაფლი იხმარება მრავალი დაავადების წინააღმდეგ.

— მერე რა მაღალშემოსავლიანი დარგია, აი გუშინ ვიანგარიშე: ფუტკრის ორას ოჯახს შეუძლია იმდენი შემოსავალი მოგვცეს, რამდენიც ათი ათას თუშურ ცხვარს. ისიც ცნობილია, თუ რა დიდ საქმეს აკეთებს ფუტკარი მცენარეთა დამტვერვის საქმეში...

ივანემ იმ სკასთან მიგვიყვანა, რომელიც სასწორზე იდგა.

— ამ სკაში ერთ დღეს თაფლის რაოდენობა სამნახევარი კილოგრამით გაიზიდა, წარმოიდგინეთ, რა ხელსაყრელი საქმეა. ბევრი შრომა ამას არ უნდა, ოღონდ მოვლის წესები დაიცვით და სხვა მაინც და მაინც ბევრი არაფერი სჭირდება...

* * *

მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიანი დარგია.

თავისი არსებობის პირველი წლიდანვე საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების საქმეს. 1919 წლის 11 აპრილს სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოსცა დადგენილება „მეფუტკრეობის დაცვის შესახებ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე, აღინიშნა, რომ ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ მეფუტკრეობის განვითარებას.

მეფუტკრეობის განვითარებასა და სასაქონლო თაფლის წარმოებაში საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რომლებიც განლაგებული არიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კლიმატურ ზონებში, უკანასკნელი წლების მანძილზე დიდად გაიზარდა თაფლის გამოსავლიანობა და შემოსავალი მეფუტკრეობიდან. ამას ნათლად გვიჩვენებს მოწინავე მეფუტკრეთა მიღწევები, რაც წარმოდგენილია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მეფუტკრეობის პავილიონში.

გამოფენის ღირსეული მონაწილეა კრასნოიარსკის მხარის ტასეევოს რაიონის კოლმეურნეობა „ბელკას“ მეფუტკრე დ. ივანოვი, რომელმაც 1953 წელს 130 სკიდან თვითეულზე საშუალოდ 190 კილოგრამი თაფლი მიიღო. კოლმეურნეობაში მეფუტკრეობის შემოსავალმა იმავე წელს 200 ათასი მანეთი შეადგინა. თვითეულ შრომადღეზე აქ განაწილდა ექვსასი გრამი თაფლი, ხოლო თვითონ ივანოვმა შრომადღეებზე და შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით მიიღო 2.200 კილოგრამი თაფლი.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ასეთი სარეკორდო მაჩვენებლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში — ციმბირის პირობებში.

ავიღოთ მეორე მაგალითი იმ კოლმეურნეობისა, რომელიც განლაგებულია ქვეყნის სამხრეთ ნაწილში — როსტოვის ოლქში. ეს არის სალსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც მეფუტკრეებად მუშაობენ ა. იაიცკი და ა. გუძეი — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი.

ამ კოლმეურნეობაში ფუტკრის 200 ოჯახი ჰყავთ. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საშუალოდ ერთ სკაზე მიიღეს 92 კილოგრამი თაფლი. აქ ყოველწლიურად წარმოებს ფუტკრის ახალი ოჯახების გამოყვანა და გაყიდვა.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი რიაზანელმა, კალინინელმა, ციმბირელმა, კრასნოდარელმა მეფუტკრეებმა.

უხსოვარი დროიდან მისდევენ მეფუტკრეობას საქართველოშიც. ქართველმა სელექციონერებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს ფუტკრის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და მომრავლების საქმეში.

საქართველოში სკას შეხვდებით ყველგან, ბარსა და კავკასიონის ფერდობებზე, ქართლის ზეგნებსა და კოლხიდის დაბლობებში. ყველგან, სადაც მისთვის ჯეროვნად ზრუნავენ, უხვად იღებენ თაფლსა და სანთელს.

ფუტკრისათვის მშვენიერი პირობებია ქართლის მთიანეთში, კერძოდ დუშეთის, ლენინგორისა და თიანეთის რაიონებში. ამას კარგად მოწმობს მოწინავე მეფუტკრეების გამოცდილება.

დუშეთში, მაგალითად, ცნობილი მეფუტკრეები არიან გ. ლაგაზაშვილი, ა. ბედუკაძე, ნ. მნათობიშვილი და სხვები, რომლებმაც კარგად იციან ფუტკრის თვისებები, ჩვეულება, მისი ცხოვრების წესრიგი, თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე დადგმული სკიდან ყოველთვის ბევრ თაფლს იღებენ.

ფშავის მაღალ მთებში, სოფელ შუაფხოს ფერდობზე ცხოვრობს ხანში შესული მასწავლებელი ალექსი ოჩიაური. იგი სამართლიანად ითვლება მეფუტკრეობის ენთუზიასტად. ოჩიაური დიდი გულისყურით და ცოდნით უვლის ფუტკარს და იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ გულნატკენი დარჩეს. ფუტკრის თვითეული ოჯახი მას ყოველწლიურად 30-40 კილოგრამ თაფლს აძლევს.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებს ორი ათასზე მეტი ოჯახი ფუტკარი ჰყავთ. მაგრამ, სამწუხაროდ, „თაფლის წყაროები“ ბევრგან დამშრალია. უფრო მეტიც. მეფუტკრეობა რაიონში ყველაზე ჩამორჩენილი და მივიწყებული დარგია.

შარშან ფუტკრის ცუდი შენახვის შედეგად შუახევის, მაქართის, გრემისხევის, არაგვისპირის და სონდისველას კოლმეურნეობებს არც ერთი კილოგრამი თაფლი არ მიუღიათ, მაშინ როცა მეფუტკრეობაზე ათასორასზე მეტი შრომადღე და 9 ათასი მანეთი დახარჯეს.

შუახევის კოლმეურნეობაში შარშან 75 ძირი ფუტკარი ჰყავდათ, მიუხედავად კარგი კლიმატური პირობებისა, აქ არავითარი შემოსავალი არ მიუღიათ. უკეთესი მდგომარეობა არც წელს არის. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია არ ზრუნავენ ამ საქმისათვის.

გუდამაყრის კოლმეურნეობაში ამ ორი წლის წინათ სამოცდაათამდე ოჯახი ფუტკარი ჰყავდათ. ფუტკარი დაავადდა და უყურადღებობით თითქმის მთლიანად განადგურდა.

რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ფუტკარი პრიმიტიულ სკებში ჰყავთ, ბევრი ოჯახი დაავადებულია, არ ხდება ფუტკრის გამრავლება.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ დარგს რაიონში კონკრეტულად არავინ ხელმძღვანელობს.

ჩვენ ვესაუბრეთ დუშეთის მტს-ის მთავარ ზოოტექნიკოს გ. მთვარელიშვილს, რომელმაც გულახდილად თქვა:

— მართალია, გასულ შემოდგომაზე მეფუტკრეობის მდგომარეობის საკითხი რაისაბჭოს აღმასკომზე განვიხილეთ და კარგი ღონისძიებაც დავსახეთ, მაგრამ შემდგომში რა გაკეთდა, არ ვიცი. პირადად მე ძლიერ დატვირთული ვარ, ხშირად ვიმყოფები საზამთრო საძოვრებზე, ამიტომ კარგი იქნებოდა რაიონში მეფუტკრეობის ერთი სპეციალისტი მაინც გვყავდეს...

დუშეთში გასულ წელს გაიხსნა ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, სადაც შეიძლება მოეწყოს მოკლევადიანი კურსები მეფუტკრეთა მოსამზადებლად, ამისათვის ჯერჯერობით არავინ ზრუნავს.

მთავარი, რაც ხელს უშლის მეფუტკრეობის განვითარებას, არის კოლმეურნეობებში ამ საქმის სპეციალისტების სიმცირე. ამის გამო ბევრგან ე. წ. მეფუტკრე უბრალო ყარაულის როლს ასრულებს და არა სპეციალისტისას, ამასთან ხშირია კადრების ცვალებადობა. სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამი მეფუტკრე შეცვალეს.

მეფუტკრეობაში ასეთ ჩამორჩენას ერთგვარად ხელი შეუწყო იმან, რომ ეს დარგი რატომღაც აღარ შეაქვთ კოლმეურნეობის პერსპექტიულ გეგმებში. ჩამორჩენის მიზეზია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მეფუტკრეობას თვლიან მეორეხარისხოვან საქმედ, არ აწარმოებენ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, პრაქტიკაში არ ნერგავენ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს.

ჩანს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკები ჯეროვან კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ მეურნეობის ამ დარგს, რომელიც უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია.

აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ნაკლებად იბეჭდება პოპულარული ბროშურები მეფუტკრეობის შესახებ, განსაკუთრებით ძნელი სამოვარია ლიტერატურა დამწყები მეფუტკრეებისათვის.

* * *

თაფლის წყაროები მიუწვდომელი საქმე როდია. თუ სათანადო სურვილსა და მონდომებას გამოიჩენენ, ყველა კოლმეურნეობას შეუძლია ჭეშმარიტად თაფლის პატარა, მაგრამ დაუშრეტელ წყაროდ აქციოს თვითეული საფუტკრე.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. (საკუთარი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს ორი სხდომა, რომლებზეც გრძელდებოდა განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებისა ახლო აღმოსავლეთში მისი იმ მოგზაურობის შედეგების შესახებ, რაც მოწყო საბჭოს 1956 წლის 4 აპრილის რეზოლუციის შესაბამისად. უშიშროების საბჭო განიხილავს აგრეთვე რეზოლუციის პროექტს, რომელიც ინგლისმა შეიტანა განსახილველ საკითხზე.

უშიშროების საბჭოს სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ ეგვიპტის, სირიის, იორდანიის, ლიბანისა და ისრაელის წარმომადგენლები.

სხდომაზე პირველი გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ბრილეი, როგორც იუგოსლავიის წარმომადგენელი. მან აღნიშნა, რომ ამჟამად „ისახება ახალი მიდგომა“ პალესტინის პრობლემის გადაჭრისადმი, რომელიც დაიწყო მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ მიიღო 4 აპრილის რეზოლუცია.

ბრილეიმ დადებითად შეაფასა ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოგზაურობის შედეგები. იუგოსლავიის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ რეზოლუციის პროექტი განსახილველ საკითხზე მისაღები იყოს საბჭოს ყველა წევრისათვის, და უწინარეს ყოვლისა დაინტერესებული ქვეყნებისათვის — არაბთა ქვეყნებისა და ისრაელისათვის.

შემდეგ გამოვიდნენ დაინტერესებულ მხარეთა — სირიის, ისრაელის, ეგვიპტის, იორდანიისა და ლიბანის წარმომადგენლები.

ისრაელის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა რეზოლუციის ინგლისურ პროექტს.

არაბთა ქვეყნების — სირიის, ეგვიპტის, იორდანიისა და ლიბანის წარმომადგენლებმა ვაკრიტიკეს რეზოლუციის ინგლისური პროექტი. მათი აზრით, რეზოლუციის პროექტს სჭირდება მნიშვნელოვანი გაშარტება და ცვლილებების შეტანა. კერძოდ, არაბთა ქვეყნების წარმომადგენლებმა საბჭოს ყურადღება მიაქციეს იმას, რომ რეზოლუციის პროექტის უკანასკნელი პუნქტი, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კვლავ გაუწიოს დაინტერესებულ მხარეებს „კეთილი სამსახური“, საკმაოდ გაურკვეველია და განმარტებასა და კონკრეტიზაციას მოითხოვს. მათი აზრით, ეს პუნქტი ნათლად უნდა ამბობდეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის „კეთილი სამსახური“ არ უნდა სცილდებოდეს იმ რწმუნებათა ფარგლებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია უშიშროების საბჭოს 4 აპრილის რეზოლუციაში.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა.

— ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, თქვა მან, რომ გენერალური მდივნის მოგზაურობას ახლო აღმოსავლეთში მოჰყვა შეთანხმების მიღწევა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ დაზავების შესახებ შეთანხმებს ხელმოწერი სახელმწიფოების მთავრობებმა გენერალურ მდივანს აღუთქვეს დაცვან ეს შეთანხმებანი.

აღნიშნა რა, რომ დაზავების შესახებ შეთანხმების სრული დაცვის აღდგენა მხოლოდ პირველი ეტაპია პალესტინის რაიონში არსებული დაძაბულობის შენელების საქმეში და რომ საჭიროა მიღწეულ იქნას მთელი პალესტინის პრობლემის მტკიცე მოწესრიგება, ა. ა. სობოლევმა განაცხადა:

საგანგებით აშკარაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ ღონისძიებათა წარმატება, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება პალესტინის რაიონში, დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობაზე ასეთ ღონისძიებათა განხორციელებაში. აი ამიტომ სწორი იქნება, თუ უშიშროების საბჭო განსაკუთრებით გაუსვამს ხაზს ამ გარემოებას და მოუწოდებს მხარეებს თავი შეიკავონ რაიმე მოქმედებისაგან, რომელიც არღვევს შეთანხმებას დაზავების შესახებ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის გადაწყვეტილებებს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ დაინტერესებული მხარეები წამოიწყებენ საკითხების გადაწყვეტას მიუდგებიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების თვალსაზრისით.

ჩვენი მტკიცე რწმენით, ეფექტიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედებისა ამ რაიონში მშვიდობის უზრუნველსაყოფად დამოკიდებული იქნება აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად გააკეთებენ ყოველივე შესაძლებელს სხვა ქვეყნები — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები, და უწინარეს ყოვლისა უშიშროების საბჭოს წევრები, რათა დაეხმარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არაბთა სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის მიღწევაში. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი მზად არის საჭირო დახმარება გაუწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცადინეობას ამ მიმართულებით, მხედველობაში აქვს რა, რომ პალესტინის რაიონში არსებული დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი განხორციელდება ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების ნების გათვალისწინებით და მათს სამინაო საქმეებში გარედან ჩაურევლად.

ა. ა. სობოლევმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა, ისევე როგორც სხვა იმ ღონისძიებათა მომზადებას, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განახორციელებს ამ რაიონში მშვიდობის განმტკიცებისათვის, წინ უნდა უძღოდეს გულდასმითი კონსულტაციები, უწინარეს ყოვლისა ამ რაიონის დაინტერესებულ ქვეყნებთან, ისევე როგორც უშიშროების საბჭოს იმ წევრებს შორის, რომლებსაც ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის. სამწუხაროდ, რეზოლუციის პროექტის შემუშავებას, რომელიც ამჟამად შემოტანილია უშიშროების საბჭოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენების გამო, წინ არ უძღოდა პროექტის ავტორთა ნამდვილი ერთობლივი კონსულტაციები არც დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებთან, არც უშიშროების საბჭოს მთელ რიგ წევრებთან, თუმცა დრო ამისათვის საკმაო იყო. ამის შედეგი ის, როგორც ბ-ნმა დიქსონმა აღიარა თავის 29 მაისის გამოსვლაში უშიშროების საბჭოში, რომ მისი პროექტის მთელი რიგი ფორმულება არ იყო საესებით ნათელი, საჭირო გახდა დაზუსტება. ამის შედეგია აგრეთვე ის, როგორც აქ სირიის წარმომადგენელმა შუქეირიმ აღნიშნა, რომ რეზოლუციის პროექტი ვერ აკმაყოფილებს დაინტერესებულ მხარეებს.

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა თქვა, რომ ინგლისის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი შეიცავს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დებულებებს, რომლებსაც იზიარებს საბჭოთა კავშირის დელეგაცია. ამავე დროს, ჩვენი შეზღუდულებით, რეზოლუციის პროექტის ზოგიერთი პუნქტი ჯერ კიდევ მოითხოვს დაზუსტებას. უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება პროექტის სარეზოლუციო ნაწილის უკანასკნელ პუნქტს, სადაც გენერალურ მდივანს წინადადება ეძლევა კვლავ გაუწიოს მხარეებს „კეთილი სამსახური“. ამ პუნქტის შინაარსი უფრო ნათელი გახდა ინგლისის წარმომადგენლის ბ-ნ დიქსონის 29 მაისის გამოსვლის შემდეგ. მისი განმარტების მიხედვით ჩვენ ეს პუნქტი გვესმის ისე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის რწმუნებანი „კეთილი სამსახურის“ გაწევის დროს იმ რწმუნებათა ფარგლებში იქნება, რომლებიც ჩამოყალიბებულია უშიშროების საბჭოს ა. წ. 4 აპრილის რეზოლუციაში.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, განაგრძო სობოლევმა, რომ ბრიტანეთის დელეგაციამ თავის პროექტში 29 მაისის სხდომაზე შეიტანა მთელი რიგი სხვა შესწორებები, რომლებიც განმარტავენ რეზოლუციის პროექტის ტექსტს, და იმედი გვაქვს, რომ ინგლისის დელეგაცია გაითვალისწინებს საბჭოს სხდომაზე გამოთქმულ სურვილებს, რათა შეიმუშაოს რეზოლუციის პროექტი, რომელსაც ერთსულოვნად მოიწონებს საბჭო და რომელიც მისაღები იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის.

ჩვენ ისე გვესმის საქმე, რომ საბჭოს სჭირდება დრო იმისათვის, რომ განაგრძოს კონსულტაციები, რომელთა შესახებ დღეს აქ ლაპარაკი იყო. ასეთ კონსულტაციებს, ჩვენი აზრით, უნდა მოჰყვეს უშუალოდ დაინტერესებული მხარეებისათვის მისაღები რეზოლუციის პროექტის შემუშავება.

ამით დამთავრდა უშიშროების საბჭოს დღის სხდომა.

ნიუ-იორკი, 2 ივნისი. (საკუთარი). გუშინ უშიშროების საბჭოს დილისა და დღის სხდომებზე გრძელდებოდა განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებისა ახლო აღმოსავლეთში მისი მოგზაურობის შედეგების შესახებ, აგრეთვე ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტისა, რომელიც ინგლისის დელეგაციამ შეიტანა.

ინგლისის წარმომადგენელი დიქსონი უშიშროების საბჭოს მთელი რიგი წევრებისა და დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების აზრთან დაკავშირებით დათანხმდა შეეტანა თავისი რეზოლუციის პროექტის უკანასკნელი პუნქტი, რომელიც მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა განაგრძოს კეთილი სამსახური უშიშროების საბჭოს ამა წლის 4 აპრილის რეზოლუციის დებულებათა და არაბთა ქვეყნებსა და ისრაელს შორის დაზავების შესახებ შეთანხმების მიხედვით.

შემდეგ დიქსონმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება თავისი რეზოლუციის სხვა პუნქტების და, კერძოდ, პრეამბულის მე-6 პუნქტის ცვლილებებს.

შეერთებული შტატების, საფრანგეთის, პერუსა და კუბის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ინგლისის დელეგაციის პოზიციას.

დაინტერესებული მხარეების — სირიის, ეგვიპტის, ლიბანის — წარმომადგენლებმა კვლავ შეიტანეს შენიშვნები ინგლისის რეზოლუციის პროექტში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პრეამბულის მე-6 პუნქტს, რომელიც, მათი აზრით, არარად აქცევს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ყველა წინანდელ გადაწყვეტილებას პალესტინის პრობლემის მთელ რიგ სპეციფიკურ საკითხებზე.

ირანის წარმომადგენელმა შეიტანა შესწორება — ინგლისის რეზოლუციის პროექტიდან გამოირიცხოს პრეამბულის მე-6 პუნქტი.

ამ წინადადების მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია იზიარებს არაბთა ქვეყნების წარმომადგენელთა აზრს. ჩვენ რეზოლუციის განვიხილავთ, აღნიშნა მან, მხოლოდ როგორც გადაწყვეტილებას გენერალური მდივნის მოხსენების შესახებ ზუსტად იმ რწმუნებათა ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრული იყო უშიშროების საბჭოს 4 აპრილის რეზოლუციით. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ გავცდეთ ამ საკითხის ფარგლებს. ინგლისის რეზოლუციის პროექტის ამ პუნქტის თვით ფორმულირება რეზოლუციის საერთო შინაარსთან დაკავშირებით ერთგვარ გაურკვევლობას შეიტანს, რაც არსებითად აღიარეს დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა დასასრულ განაცხადა: ეყრდნობა რა იმას, რომ მე-6 პუნქტის ფორმულირება დაინტერესებულ მხარეთა უთანხმოებას იწვევს, რაც, ბუნებრივია, ხელს ვერ შეუწყობს პალესტინის პრობლემის შემდგომი მოწესრიგების მიზნების მიღწევას, საბჭოთა კავშირის დელეგაცია მხარს უჭერს ირანის წინადადებას რეზოლუციის პროექტის პრეამბულის მე-6 პარაგრაფის გამორიცხვის შესახებ. ირანის შესწორების მიღება ჩვენ, ისევე როგორც სხვა დელეგაციებს, შესაძლებლობას მოგვცემდა მხარი დაგვეჭირა დიდი ბრიტანეთის რეზოლუციის პროექტისათვის.

იუგოსლავიის წარმომადგენელმაც მხარი დაუჭირა ირანის დელეგატის შესწორებას.

შემდეგ ირანის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება — უშიშროების საბჭოს შემდგომი სხდომა გადაიდოს 4 ივნისამდე.

ამ წინადადების წინააღმდეგ არავინ გამოსულა.

საბჭოთა კავშირ-იტალიის სავაჭრო ურთიერთობისათვის

1 ივნისს დამთავრდა სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც რომში მიმდინარეობდა სსრ კავშირსა და იტალიას შორის 1948 წლის სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად, და ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც აწესებს საქონლის სიებს 1956 წელს ურთიერთ-მიწოდებისათვის.

ოქმი ითვალისწინებს სსრ კავშირისა და იტალიას შორის საქონელგაცვლის გადიდებას 1956 წელს დაახლოებით 25 პროცენტით 1955 წელთან შედარებით.

ოქმი ითვალისწინებს, რომ იტალია სსრ კავშირს მიაწვდის ჩარხებსა და სხვა მოწყობილობას, ციტრუსოვანებს, ხელოვნურ ბოჭკოს, კორპის ქერქს, გოგირდს, ზოგიერთ ქიმიურ საქონელს, კთეროვან ზეთებს.

გარდა ამისა, შეთანხმებულ იქნა, რომ იტალია საბჭოთა კავშირს 1957-1958 წლებში მიაწვდის ზოგიერთ სამრეწველო მოწყობილობას.

სსრ კავშირი იტალიას მიაწვდის ანტრაციტს, მარგანეცის მადნს, ბენზოლს, თუჯს, ფეროქრომს, ნიფტალინს, დახერხილ ხე-ტყის მასალას, ნავთობსა და ნავთობის პროდუქტებს, ბამბას, სელს, გრაფიტს ელექტროდებს.

ოქმს ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იტალიაში ვ. ა. სალომოვსკი, იტალიის მხრივ — სრულუფლებიანი მინისტრი გუელფო ძამპონი.

საბჭოთა სამხედრო ხომალდები სპლიტში

სპლიტი, 3 ივნისი. (საკუთარი). გუშინ საღამოს ბელგრადიდან სპლიტში დაბრუნდნენ შავი ზღვის ფლოტის სარდალი ადმირალი ვ. ა. კასატონოვი, საბჭოთა სამხედრო ხომალდების ესკადრის ოფიცრები, რომლებიც მას ახლავან, და იუგოსლავიაში სსრ კავშირის სამხედრო ატაშეს მოგალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ვ. ვ. კლიმიჩევი, აგრეთვე იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი ადმირალ მ. ერკოვიჩი.

საბჭოთა ოფიცრების ჯგუფმა ადმირალ ვ. ა. კასატონოვის მეთაურობით ეოკსალი ყვავილების დიდი გვირგვინით შეამკო სასაფლაო, სადაც დაკრძალული არიან იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის მონაწილენი, რომლებიც დალუპნენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

დღეს გრძელდებოდა თავისუფალი შესვლა საბჭოთა სამხედრო ხომალდებზე, რომლებიც ნავსადგურში არიან. ადრე დილადანვე მოზრდილები და ბავშვები მიდიოდნენ საბჭოთა კრეისერისა და საესკადრო ნაღმოსნების დგომის ადგილზე. ხალხი ჩაცმულია საღღესასწაულოდ. ბევრ ბავშვს წითელი ყელსახვევები უკეთია. საბჭოთა მეზღვაურების გუშინდელმა სტუმრობამ — მოსწავლეებმა, რომლებმაც საჩუქრად პიონერთა ყელსახვევები მიიღეს, გადაწყვიტეს მეორედ ენახათ საბჭოთა სამხედრო ხომალდები.

დაახლოებით 10 საათზე ხომალდების სადგომ ადგილას მივიდა იუგოსლავიის სახალხო ახალგაზრდობისა და პიონერთა ორგანიზაციის წევრების დიდი ჯგუფი დროშებით. ისინი მივიდნენ, რათა პატაკი მიეცათ საბჭოთა მეზღვაურებისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების მკვიდრებისა.

სამშობლოში მიმავალი საბჭოთა მოქალაქენი ბუენოს-აირესის ნავსადგურში გაიცილეს სსრ კავშირის ელჩმა არგენტინაში გ. ფ. რეზანოვმა, საელჩოს თანამშრომლებმა და არგენტინის სლავთა საზოგადოებების წარმომადგენლებმა.

საბჭოთა მოქალაქენი სამშობლოში ბრუნდებიან

ბუენოს-აირესი, 3 ივნისი. (საკუთარი). 1 ივნისს ბუენოს-აირესიდან არგენტინის გემ „ენტრე რიოსით“ ოდესაში გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მეორე ჯგუფი — 760 კაცი. ისინი სამშობლოში ბრუნდებიან არგენტინასა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში ხანგრძლივი იძულებითი ყოფნის შემდეგ. ჯგუფის ძირითადი მასა უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები, ებერძნელები, ბალტიისპირეთის ერების ადამიანები, ასევე ბევრი ოჯახი ბავშვებით. ჯგუფში ასევე ერია ბევრი ინვალიდი, ასაკოვანი ადამიანი, ორსული ქალები, ავადმყოფები, ბავშვიანი ქალები.

გაიხსნა გადაუჯდომელი სარკინიგზო მიმოსვლა მოსკოვი—ბელგრადი

2 ივნისს 14 საათსა და 25 წუთზე დედაქალაქის კიევის ვოგზლის პლატფორმიდან გავიდა ჩქარი მატარებელი № 7 მოსკოვი — ჩოპი, რომლის შემადგენლობაშია მოსკოვ-ბელგრადის პირდაპირი გადაუჯდომელი მიმოსვლის რბილი ვაგონი. ამ რეისით გაიხსნა რეგულარული გადაუჯდომელი სარკინიგზო მიმოსვლა საბჭოთა კავშირის დედაქალაქსა და იუგოსლავიის დედაქალაქს შორის.

4 ივნისიდან იხსნება აგრეთვე პირდაპირი სამგზავრო გადაუჯდომელი მიმოსვლა მოსკოვსა და ვენას შორის. (საკუთარი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშნა ამხ. ნიკიტა სიმონის-ძე რიეოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის პურის პროდუქტების მინისტრად დანიშნა ამხ. ლეონიდე რომანის-ძე კორნიეცი.

სპორტის ამბები

ეროვნული ფეხბურთი

ტალინელები ვეზეგა

მეშახტეთა პროფკავშირის მიწვევით პოლონეთში იმყოფება სსრ კავშირის ფეხბურთელთა კოლექტივი სტალინის „მახტიორი“. საბჭოთა ფეხბურთელები პოლონეთში შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს — „გურნიკს“. მატჩი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა სტალინის „მახტიორის“ გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 3 ივნისი. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონი მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი შეხვდა დედაქალაქის „ლოკომოტივის“ გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ლენინგრადი. 3 ივნისი. სსრ კავშირის 1956 წლის პირველობის გათამაშების ლიდერი ზოსკოვის „სპარტაკი“ ლენინგრადში შეხვდა ადგილობრივ გუნდს „შრომითის რეზერვებს“. ლენინგრადელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს თამაში და მოიგეს მატჩი 3:1.

კიშინიოვი. 3 ივნისი. მატჩი კიშინიოვში ადგილობრივი „ბურევესტნიკისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის დამთავრდა „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ნახევარფინალური შეჯიბრების დახურვა

3 ივნისს თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბში სპორტის მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი. აქ გაიმართა სსრ კავშირის ყალთა საკადრაკო ჩემპიონატის თბილისის ნახევარფინალური შეჯიბრების შემაჯამებელი საღამო და ასპარეზობის საზეიმო დახურვა.

საღამო გახსნა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. ნახევარფინალური ასპარეზობის საბოლოო შედეგების შესახებ მოახსენებინა გამოვიდა შეჯიბრების მთავარი მსაჯი ქ. გოგიაკვა.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზი, რომელიც დაწესებული იყო საუკეთესო შედეგისათვის, ფინალურ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა მოჭადრაკე გოგონამ ნ. გაფრინდაშვილმა. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზი ულამაზესი პარტიისათვის გადაეცა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეს მ. ტოგონიძეს. გაზეთ „მოლოდიო სტალინეცის“ პრიზი უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის მოიპოვეს ნ. გაფრინდაშვილმა, ნ. მატვეევამ, ვ. ტიხომირეოვამ და ტ. სტარანდსტრემმა. თვითეულმა მათგანმა 4 ქულა შეაგროვა. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზი შეჯიბრებაში მონაწილე ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგისათვის მოიპოვა ნ. გაფრინდაშვილმა.

საღამოზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა შეჯიბრების მონაწილე ვ. ტიხომირეოვა. დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

ზონალური შეჯიბრება ერევანში

ერევანი. 4 ივნისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის საკადრაკო ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება. დღემდე გათამაშდა 15 ტური.

მე-15 ტურში შეჯიბრების ლიდერმა კასპაროვმა დაამარცხა გროსმაისტერი ტოლუში. კალაშიანმა მოიგო გროსმაისტერ ლილიენტალს, გულდინმა — გიტერმანს, სარდაროვმა — ზახარიანს, კალატოზიშვილმა — მარტიროსიანს. დანარჩენი პარტიები გადაადო.

15 ტურის შემდეგ წინ არის საერთაშორისო ოსტატი კასპარიანი, რომელსაც 13 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ტოლუში (12 ქულა), მესამეზე — გურგენიძე (10 ქულა და 1 გადადებული პარტია უკეთეს მდგომარეობაში), მეოთხეზე — გიორგაძე (9 ქულა და 1 გადადებული პარტია უარეს მდგომარეობაში). გულდინსა და ბუსლაევს აქვთ რვანახევარ-რვანახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

გი მოლეს სიტყვა საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 3 ივნისი. (საკუთარი). ეროვნულ კრებაში ძალთა ბალანსის საერთო პოლიტიკის შესახებ კამათის დასასრულს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ დასვა ნდობის საკითხი და მოითხოვა, რომ კრებამ დაამტკიცოს სოციალისტ დეპუტატ მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ეროვნული კრება იწონებს „ეკონომიური და სოციალური პროგრესის, ვალუტის სტაბილურობის დაცვის, საერთაშორისო მშვიდობის, მაროკოს და ტუნისის სახელმწიფოებთან ურთიერთობის ჰარმონიზაციის, ალჟირში დაშოშმინებისა და რეფორმების, ზღვასგაღმა ტერიტორიების განვითარების პოლიტიკას“, რომელსაც მთავრობა ახორციელებს.

ნდობის საკითხის დასმის წინ გი მოლემ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ძირითადი ადგილი ალჟირის პრობლემას დაუთმო. მან განაცხადა, რომ მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა ალჟირში ხორციელდება იმ ვალდებულებათა საფუძველზე, რომლებიც მან იკისრა მთავრობის დეკლარაციაში.

გი მოლე ამართლებდა ალჟირში ახალი სამხედრო დამხმარე ძალების გაგზავნას. ამასთან აღნიშნა, რომ საფრანგეთის ჯარები ახორციელებენ „დაშოშმინების“ ღონისძიებებს. მკვეთრად ილაპარაკა რა იმ ორგანიზაციებისა და გაზეთების წინააღმდეგ, რომლებსაც „დემორალიზაცია შეაქვთ ახალგაზრდობაში“, ესე იგი პროტესტს აცხადებენ მობილიზებულთა გაგზავნის წინააღმდეგ, მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციების მიმართ გამოყენებულ იქნება სანქციები. რეფორმები, რომლებიც ალჟირში ხორციელდება, მან დააზასიათა როგორც „რევოლუციური ხასიათის ღონისძიებანი“. ამასთანავე გი მოლემ აღიარა, რომ არ შეიძლება ომით გადაწყდეს ალჟირის პრობლემა და რომ არ შეიძლება ძალით მოვახვიოთ თავს ალჟირს ახალი სტატუსი. მან გამიერია წინათ გაკეთებული განცხადებანი, რომ ეს სტატუსი შეიძლება შემუშავდეს ალჟირელი ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შედეგად, რომელნიც არჩეულ უნდა იქნენ „სიმშვიდის აღდგენის“ სამი თვის შემდეგ. შეეხო რა მაროკოსა და ტუნისის მდგომარეობას, გი მოლემ თქვა, რომ მთავრობის პოლიტიკა ამ ქვეყნებში შთაგონებული იყო ლიბერალიზმის სულისკვეთებით.

გი მოლემ აღნიშნა, რომ მაროკოს და ტუნისის მთავრობათა წარმომადგენლებთან დადებული შეთანხმებანი მოსაწონებლად წარედგინება პარლამენტს და რომ მანამდე შეარჩუნებულ იქნება სტატუს-კვო, კერძოდ იმაში, რაც შეეხება საფრანგეთის არმიის როლსა და მდგომარეობას მაროკოში.

გი მოლემ განაცხადა, რომ მაროკოსა და ტუნისში მცხოვრები ფრანგები მიიღებენ ყველა საჭირო გარანტიას, რომლებიც მათს პიროვნებას, ქონებასა და მათი შვილების მომავალს ეხება. გი მოლემ აღუთქვა მათ სრული მხარდაჭერა, მაგრამ სთხოვა მათ ამის სამაგიეროდ შეეგებონ ახალ გარემოებას.

დაახასიათა რა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, გი მოლემ განაცხადა, რომ „საფრანგეთს განზრახული აქვს იყოს ერთგული მის მიერ დადებული კავშირებისა და იბრძოლოს საბჭოთა კავშირთან თავისი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის და დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის“.

დასასრულ გი მოლე შეეხო ეკონომიურ და სოციალურ პოლიტიკას. მან ამდენი გამოთქვა, რომ მშრომელები მიხვდებიან, რომ „წელს იგი უნდა გამოვიდეს ზოგიერთი მოთხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგ“. მისი ფინანსური პროგრამა წინანდელი რჩება — არც ინფლაცია, არც დევალვაცია.

მთავრობისადმი ნდობის საკითხს კენჭს უყრიან 5 ივნისს.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

გი მოლემ დასვა ნდობის საკითხი

პარიზი, 3 ივნისი. (საკუთარი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ ეროვნულ კრებაში სიტყვა წარმოთქვა მთავრობის საერთო პოლიტიკის საკითხზე. შემდეგ გი მოლემ დასვა ნდობის საკითხი, ამასთან მოითხოვა, რომ ეროვნულმა კრებამ მიიღოს რეზოლუცია, რომელიც სოციალისტმა დეპუტატებმა შეიტანეს და რომელშიც ნათქვამია: „ეროვნული კრება იწონებს ეკონომიური და სოციალური პროგრესის, ვალუტის სტაბილურობის დაცვის, საერთაშორისო მშვიდობის, მაროკოსა და ტუნისის სახელმწიფოებთან ურთიერთობის ჰარმონიზაციის, ალჟირში დაშოშმინებისა და რეფორმების, ზღვასგაღმა ტერიტორიების განვითარების პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა ახორციელებს“. ნდობის საკითხს კენჭს უყრიან 5 ივნისს.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა, **რუსთაველის სახელობის** — საქმიანი კაცი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ნანა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უდანაშაულო დამნაშავენი (აბონემენტი № 43, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჭილყვავი გაბაფბულის ფრინველია (11 ს.), **ფილარმონია** — მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის მსახიობთა კონცერტი (სახაფხულო თეატრში 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო და საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ოქტომბერი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, თბილისი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო). **კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კომუნარების ბაღი** — ეთერის სიმღერა, **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — მარადიული ღამის საიდუმლოება, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო) — **პალატა № 9, კომკავშირელი** — ირენა, **სახლში, ისანი** (საზაფხულო) — **მაგდანას ლურჯა, დიდუბე** (საზამთრო) — **იუდიტ ბენდიჩის დანამული, კოლმეურნე** — **სამსახური, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — **უნივერმაღის ვიტრინის იქით.**

ГРАЖДЕЛДЕБА ХЕЛЗМОЦЕРА ЖУРНАЛ-ГАЗЕТОТЕБЗЕ 1956 ВЛИС МЕОРЕ НАХЕВРИСАТВИС. ცენტრალურ ჟურნალებზე ხელმოწერა წლის მეორე ნახევრისათვის მიიღება 10 ივნისამდე, ცენტრალურ გაზეთებზე 15 ივნისამდე, რესპუბლიკურ გამოცემებზე — 25 ივნისამდე.

„სოიუზპეჩატი“

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

7 ივნისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა
„ბ“ ჯგუფის გუნდებს შორის
„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — ოფიცერთა საოლქო სახლი (თბილისი)
დასაწყისი 6 ს. და 30 წ.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 5 ივნისს დილის 10 საათიდან. თამაშის დღეს ბილეთები გაიყიდება კიროვის სახელობის პარკისა და ფიზკულტურის პარკის (სანაპირო № 1) სალაროებში, აგრეთვე „დინამოს“ სტადიონის სალაროებში, ბრძოლის ქ. № 2.

მოქალაქე ნიკოლოზ გრიგოლის-ძე წამალაშვილმა, მცხოვრებმა კოლხიდის ქ. № 16, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნადეჟდა ნესტორის ასულ ტოკარევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ოსიპოვმა, მცხოვრებმა შაუმიანის ქ. № 88, აღძრა საქმე შემახის ქ. № 16 მცხოვრებ **მოქალაქე ეანიკ ანდრიას ასულ კაზაროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

**დედა ქეთო, მამა იოსებ და სვეტლანა, ძმა